# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 ივლისი 2005 №164 (2487) ფასი 50 თეთრი


## ბრონდბიუ ლაუდრუპების გულია

დინამოს მეტოქის წარდგენა

4



## მე ყველას ვაჩვენე

შტეფან ეფენბერგის მოგონებები

ნაწილი მეოთხე

9



## კოკაიმ ცისფერი დრაკონი უცუპაროდ მიასექივაკა

13



მერაბ ხაბაზი



ზაალ ქიქოძე

# ორი სიკვდილი ორთავა უშბაზე

კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა კავკასიონის მწვერვალ უშბაზე. კიდევ ორი ქართველი მთამსვლელი შეეწირა სვანეთის მთებში ალმართულ ორთავა მწვერვალს: მერაბ ხაბაზი ზაალ ქიქოძე!



# ალმათიში ანტონი დანიშნეს

## ყაზახები მზის გულზე გულზე იქნებიან



17 აგვისტოს ქართველებს ალმათის ცენტრალურ სტადიონზე ძალიან დასცხებათ

**საქართველოს** ნაკრები მორიგ შესარჩევ მატჩს 17 აგვისტოს ალმათიში ჯგუფის აუტსაიდერ ყაზახეთის ნაკრებთან გამართავს. ამ შეხვედრისთვის მეტოქეებს შემადგენლობები ჯერ არ გამოუცხადებიათ, თუმც ფიფამ თავისი საქმე უკვე გააკეთა და ყაზახეთ — საქართველოზე სლოვაკ მსაჯთა ბრიგადა დანიშნა არბიტრ ანტონ შტრადეკის მეთაურობით. მატჩი ალმათის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივი დროით 19 საათზე დაიწყება.

16 აგვისტოს კი ახალგაზრდული ნაკრებები ითამაშებენ, მატჩი, რომ იტყვიან, მზის გულზეა, 15 საათზეა დანიშნული. ყაზახური კლიმატი ალბათ მოგეხსენებათ — შუადღისას ტემპერატურა 40-42 გრადუსია. სწორედ აუტანელი სიცხე იყო, წინა ტურში თურქი ახალგაზრდების ალმათიში მარცხის მიზეზთაგანი.

და ერთიც. ფიფამ 3 სექტემბრის საქართველო — უკრაინის მსაჯებიც დაადგინა. მატჩს ნორვეგიელები მოემსახურებიან, არბიტრი ტომ ჰენინგ ოვრებო იქნება. შეგახსენებთ, საბერძნეთთან და თურქეთთან ქართველ ქომაგთა უსაქციელობისთვის ჩვენები უკრაინელებს და შემდეგ ყაზახებსაც ცარიელი ტრიბუნებით უმასპინძლებენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# რითაც დაიწყო, იმით დაამთავრა

## ამერი აზერბაიჯანს გოლგაუშვებლად ტოვებს

**თბილისის** „ამერიმ" აზერბაიჯანული შეკრება მშრალი მოგებით დაამთავრა -- გიორგი ჩიხრაძის გუნდმა იქაურ „შაჰდაღს" ალექსანდრე კაიდარაშვილის გოლით 1:0 მოუგო. შეგახსენებთ, ამერელებმა აზერბაიჯანული ქუბის ოლიმპიურ კომპლექსში ჩასვლისას პირველი ტესტ-თამაში სწორედ „შაჰდაღს" მოუგეს და მაშინაც ამავე ანგარიშით. თუმცა იმ მატჩთან შედარებით, თბილისელთა სათამაშო უპირატესობა გუშინ უფრო საგრძნობი იყო.

პირველ ტაიმში კაიდარაშვილს სულაც ჰეთ-თრიქის შესრულება შეეძლო, მაგრამ ერთხელ ძელს გაარტყა ბურთი, მეორედ კი „შაჰდაღის" მეკარემ ივარგა. საგოლე მომენტები გიორგი სილაგავასა და ალეკო კომკაძესაც გაუცუდდათ. გოლი კი სტანდარტულიდან გავიდა: 25-ე წუთზე გიორგი დეკანოსიძის ნაკუთხურალს კაიდარაშვილი მეკარესთან ახლო კუთხეში დაუხვდა და თავურით გაიტანა.



„ამერის" ბოლო აზერბაიჯანული გოლი ალექსანდრე კაიდარაშვილისა იყო

გუშინ „ამერის" შემადგენლობა ასეთი იყო: *ნადირაშვილი, კვახაძე (ელბაქიძე 69), დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, დობროვოლსკი, კაიდარაშვილი (ნადირაძე 80), კომკაძე, დეკანოსიძე, სილაგავა (ჩხეტიანი 78), დავითაშვილი.*

**ლუკა თალაკვაძე**

# ბანანცის უივარდავი ოთხიანები

**თბილისის** „ლოკომოტივს" სომხურ „ბანანცთან" საშინაო საუეფესთასო მატჩი აქვს დარჩენილი და ძნელად სავარაუდოა, რკინიგზელებმა მეორე ეტაპს ვერ ეწიონ, მაგრამ... ერევნელების ამბავი მაინც მოვიკითხოთ: „ბანანცმა" ქვეყნის ჩემპიონატში მეორეადგილოსან „მიკას" უმასპინძლა და 4:4 ითამაშა.

თბილისელთა მეტოქე პირველივე წუთებზე მოლდოველმა თავდამსხმელმა დმიტრი გუსილამ დააწინაურა, შემდეგ კი „ბანანცი" სამჯერ აღმოჩნდა მდევრის როლში, მაგრამ არარატ არაქელიანის, არამ აკობიანისა და ტიგრან კარაბახციანის გოლებით სამჯერვე გაათანაბრა. როგორც იცით, „ლოკომოტივთან" ნამატჩევს „ბანანცის" თავკაცმა ქართველი მეკარე მანუჩარ ივარდავა გააკრიტიკა და შედეგიც: „მიკასთან" მის ნაცვლად უკრაინელი თემურ განიევი დააყენა.

**ლუკა თალაკვაძე**

# ბათუმის გზა: ბიზნესი და შუა ადგილები

**„ბათუმს"** რომ ფინანსური პრობლემა მოეხსნა და ახალ სეზონს იმედიანად ხვდება, ამასწინათ გაცნობეთ. ნუკრი გოგიტიძის გუნდი თურქეთში წავიდა შეკრებაზე. იმის თაობაზე კი, თუ ვინ იქნება კლუბის მეპატრონე, „ბათუმის" პრეზიდენტმა როინ ნაკაშიძემ ჯერ ვერაფერი გვითხრა.

„ახლა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და საბოლოოდ გაირკვევა ჩვენი ამბავი. ისე, საშიში არაფერია, გუნდი ბეჯითად ემზადება და ჩემპიონატს ნორმალურ ფორმაში შეხვდება. რაც შეეხება მიზნებს, შუა ადგილები მაინც უნდა დავიკავოთ. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის კლუბის შენახვა ძნელია, „ბათუმს" სწორედ ბიზნესმენები მიხედავენ" — ამბობს ნაკაშიძე.

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**პიუნიკი** (სომხეთი) 2:2 ***ჰაკა*** *(ფინეთი)* (0:1)
**ზრინსკი** (ბოსნია) 0:4დ.დ.(0:1) ***დუდელანჟი*** *(ლუქსემბურგი)* (1:0)
**სკონტო** (ლატვია) 1:0 ***რაბოტნიჩკი*** *(მაკედონია)* (0:6)
***ანართოსისი*** *(კვიპროსი)* 1:0 **დინამო** (ბელარუსი) (1:1)
***შერიფი*** *(მოლდოვა)* 2:0 **სლიმა** (მალტა) (4:1)
***პეტრჟალკა*** *(სლოვაკეთი)* 4:1 **კაირატი** (ყაზახეთი) (0:2)
***შელბურნი*** *(ირლანდია)* 4:1 **გლენტორანი** (ჩრდ. ირლანდია) (2:1)
***ტირანა*** *(ალბანეთი)* 3:0 **ნოვა გორიცა** (სლოვენია) (0:2)
**ჰაფნარფიორდური** (ისლანდია) 1:2 ***ნეფთჩი*** *(აზერბაიჯანი)* (0:2)

## II საკვალიფიკაციო ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| კაუნასი (ლიტვა) | — | ლივერპული (ინგლისი) |
| დინამო (საქართველო) | — | ბრონდბიუ (დანია) |
| პარტიზანი (სერბეთი) | — | შერიფი (მოლდოვა) |
| დებრეცენი (უნგრეთი) | — | ჰაიდუკი (ხორვატია) |
| პეტრჟალკა (სლოვაკეთი) | — | სელტიკი (შოტლანდია) |
| ტირანა (ალბანეთი) | — | ცსკა (ბულგარეთი) |
| ანდერლეხტი (ბელგია) | — | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) |
| ვოლერენგა (ნორვეგია) | — | ჰაკა (ფინეთი) |
| რაბოტნიჩკი (მაკედონია) | — | ლოკომოტივი (რუსეთი) |
| დუდელანჟი (ლუქსემბურგი) | — | რაპიდი (ავსტრია) |
| დინამო (უკრაინა) | — | თუნი (შვეიცარია) |
| მალმიო (შვედეთი) | — | მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) |
| შელბურნი (ირლანდია) | — | სტიაუა (რუმინეთი) |
| ანართოსისი (კვიპროსი) | — | ტრაბზონსპორი (თურქეთი) |

*I მატჩები გაიმართება 26-27 ივლისს, საპასუხოები — 2-3 აგვისტოს*

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. II ტური
ავსტრია 3:2 გრაცერი
შტურმი 2:1 ადმირა
პაშინგი 0:0 რიდი
ზალცბურგი 4:0 მატერსბურგი

### დანია

სუპერლიგა. I ტური
ოლბორგი 0:1 კოპენჰაგენი
ჰორსენსი 0:3 ვიბორგი
ნორდსიელანდი 1:1 სიონდერიულანდი
სილკებორგი 2:1 ორჰუსი
ბრონდბიუ 3:0 მიდტიულანდი

### შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური
ივერდონი 0:3 იანგ ბოისი

### რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ცსკა 2:0 ტორპედო
თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩი
*ზენიტი* 0:0 ყუბანი (1:1)

### ხორვატია

ნაციონალლიგა. I ტური
ზაგრები 3:1 სლავენი
კამენი 0:1 ვარტექსი
ჰაიდუკი 6:0 ოსიეკი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი
იარო 1:3 ტამპერე

### ისლანდია

თასის მეოთხედფინალი
HK 0:2 *ფილკირი*

### უნგრეთი

სუპერთასი. ფინალი
დებრეცენი 3:0 შოპრონი

### შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური
გიოტებორგი 0:1 გეფლე

## 2005 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. II ტური
საბერძნეთი 0:3 გერმანია
ჩრდ. ირლანდია 0:1 სერბეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

B ჯგუფი. II ტური
სომხეთი 1:1 ინგლისი
ნორვეგია 1:3 საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

## PEACE CUP 2005

B ჯგუფი. III ტური
ლიონი (საფრანგეთი) 1:1 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
სეონგნამი (სამხრეთ კორეა) 0:1 ონსე კალდასი (კოლუმბია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ონსე კალდასი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| სეონგნამი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

გენკი (ბელგია) 1:3 მიონხენგლადბახი (გერმანია)
ვოლფსბურგი (გერმანია) 1:1 ჰანზა (გერმანია)

## TIM CUP 2005

ინტერი 0:0 (პენ.5:4) მილანი
იუვენტუსი 1:2 მილანი
იუვენტუსი 0:1 ინტერი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# დინამო ბრონდბიუმდე: პლუს სამი

***თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურ „ბრონდბიუსთან" შეხვედრამდე სამი ფეხბურთელით გაძლიერდება.***

***თბილისელებმა კიევის „დინამოდან" მცველი ალეკო ამისულაშვილი და ბულგარული „ჩერნო მორედან" ნახევარმცველი კოტე დარსანია დაიმატეს, ხოლო თავდამსხმელი სანდრო იაშვილი შეინარჩუნეს და დღეს-ხვალ სამივეს ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეიყვანენ.***

***ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კლუბებს განაცხადში ფეხბურთელების დამატების უფლება 24 აგვისტომდე აქვთ, იქამდე კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კიევის „დინამოდან" და „ჩერნო მორედან" ამისულაშვილისა და დარსანიას გათავისუფლების ფურცლები უნდა მიიღოს. იაშვილი კი ისეც „დინამოს" ფეხბურთელია.***

***თბილისის „დინამო" „ბრონდბიუსთან" პირველ მატჩს 26 ივლისს შინ გამართავს, საპასუხოს — 3 აგვისტოს***



ბადრი ქეთილაძის ფოტო

კოტე დარსანია შავი ზღვიდან „დინამოში" აღმოჩნდა

*სანდრო იაშვილი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელია, მაგრამ ამ გუნდში მას უკვე ნელიწადნახევარია არ უთამაშია. „დინამოს" ის ჯერ „ვიტ ჯორჯიაში", შემდეგ „თბილისში" ჰყავდა განათხოვრებული, უკან კი ახლა დაიბრუნა. „დინამოს" თავკაც კახა ცხადაძეს იაშვილის დამატება „ლევადიასთან" მატჩებამდეც სურდა, მაგრამ სანდრო შოტლანდიურ „რეინჯერსში" გადასვლას ეშურებოდა. ამ საქმეში „დინამოს" მისთვის ხელი არ შეუშლია, თუმც იაშვილ-„რეინჯერსის" კონტრაქტი, ყოველ შემთხვევაში, ახლა, მაინც არ შედგა და სანდროც თამაშს „დინამოში" გააგრძელებს*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ლოდინი დამთავრდა

## კონკურენციას ფორმა მოაქვს

— ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტი ჩემთვის სამუშაო ვიზის გაცემას არ ჩქარობს, საქმე ძალიან გაჭიანურდა, „რეინჯერსის" შემადგენლობაც, ფაქტობრივად, უკვე დაკომპლექტებულია და ახლა იქ წასვლის იმედი აღარ მაქვს. „დინამოში" დავრჩები, მით უმეტეს, ამ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ მაკავშირებს.

**— შოტლანდიიდან აღარ დაგკავშირებიან?**

— კი, მაგრამ თავადაც არ იციან, რა ხდება. ლოდინი კი აღარ შემიძლია.

**— რას ფიქრობ, ხარ ფორმაში?**

— ყოველ შემთხვევაში, არაფერს ვუჩივი, „ბრონდბიუმდე" კი კიდევ მოვუმატებ.

**— მეტოქეზე რას იტყვი?**

— „ბრონდბიუსთან" ერთხელ უკვე მითამაშია, ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები არიან და ტაქტიკურად გამართული გუნდია, მწვრთნელი მიქაელ ლაუდრუპია. თუმც ეს არაფერი, ჩვენ მაინც უნდა მოვიგოთ, „დინამოს" ექნება „ბრონდბიუს" დამარცხების ძალა. „ლევადიასთან" „დინამომ" შინ პირველად ითამაშა და თავიდან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მერე, ყველამ დაინახა, რომ ჩვენს გუნდს კიდევ მეტი შეეძლო. „ბრონდბიუსთან" კი გაცილებით უკეთ ვითამაშებთ.

**— ახლა შენ „დინამოსთვის" მეხუთე თავდამსხმელი იქნები. ძირითადში მოსახვედრად ბევრი კონკურენტი გეყოლება.**

— მერე ამას რა სჯობს?! მოდუნების საშუალება არ გექნება და თუ თამაში გინდა, ყოველთვის ფორმაში უნდა იყო.

**— მელქაძე, მეგრელაძე, ბობოხიძე, დვალიშვილი — ამათგან მეწყვილედ რომელი გიჯობს?**

— რა მნიშვნელობა აქვს, წყვილში ვისთან მირჩევნია, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინც უკეთ იქნება მომზადებული, ის ითამაშებს. სანდრო იაშვილი კი მწვრთნელის დავალებას შეასრულებს.

**კობა ინასარიძე**

# დინამოგამოქიდული

## საცა არა სჯობს, თბილისი სჯობს

*ალეკო ამისულაშვილი თბილისის „დინამოს" ექვსი თვით დაუბრუნდა, ის კიევის „დინამომ" გაანათხოვრა.*

*თბილისელებს ალეკოს დამატების სურვილი ადრეც ჰქონდათ, მაგრამ მაშინ ეს საქმე არ გამოვიდა, თუმც ფეხბურთელმა იცოდა, რომ „დინამო" მას ელოდა. უკრაინის ჩემპიონატის დაწყებისთანავე კი ამისულაშვილმა კიევის „დინამოს" გათავისუფლება სთხოვა და ეს დროებითი ტრანსფერიც უპრობლემოდ მოგვარდა. ახლა კი ალეკო დანიურ „ბრონდბიუსთან" მატჩებისთვის ემზადება და თავისი გუნდის წარმატების იმედი აქვს.*

*— მადლობა კიევის „დინამოს" ხელმძღვანელებს, ჩემი პრობლემები რომ გაითვალისწინეს და „დინამოში" გადმოსვლის საშუალება მომცეს. კიევში ექვსი თვის შემდეგ დავბრუნდები, ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვართ შეთანხმებულები, იქამდე კი თბილისის „დინამოში" ვითამაშებ — გვითხრა გუშინ ალეკო ამისულაშვილმა.*

**— „დინამოში" დაბრუნება თავად გადაწყვიტე?**

— ერთი თვის წინ თბილისში შვებულებით ვიყავი. „დინამოს" ხელმძღვანელობისგან წინადადებაც მაშინ მივიღე. დავბრუნდი კიევში და როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი იქ დარჩენა უპერსპექტივო საქმე იყო „დინამოში" დაბრუნებას დავთანხმდი.

**— კიევში დარჩენა უპერსპექტივო საქმე რატომ იყო?**

— იგივე ვითარება დამხვდა, რაც ადრე და აღარ გავრისკე, იქ სათადარიგოდ ყოფნას, „დინამოს" ძირითადში თამაში სჯობს.

**— კიევიდან დნეპროპეტროვსკის „დნიპროშიც" იყავი განათხოვრებული, მაგრამ არც იქ გითამაშია. რატომ?**

— როცა „დნიპროში" გადავედი, მწვრთნელი ინდივიდუალური პროგრამით მამზადებდა, ორ კვირაში გათამაშებო. ამ ორ კვირაში კი თბილისში სანაკრებო შეკრებაზე ჩამოვედი, დავბრუნდი კლუბში და მწვრთნელმა პირდაპირ მითხრა, „დნიპროში" შენ ვერ ითამაშებ, აქ უკრაინის ნაკრების ფეხბურთელები მყავს და მათ სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათო. „დნიპრო", ალბათ იცით, უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდია. თუმც, ვერ გამიგია, თუ არ მათამაშებდნენ, მაშინ ჩემი განათხოვრების სანაცვლოდ კიეველებს ფული რატომ გადაუხადეს. ცოტა უცნაური ამბავი მოხდა.

**— ამდენი ხნის უთამაშებელი ახლა როგორ ფორმაში ხარ?**

— სასურველ ფორმაში არ ვარ, მაგრამ დღეიდან ინტენსიურ ვარჯიშს ვიწყებ და ვნახოთ, „ბრონდბიუსთან" მატჩებისთვის, ალბათ, მზად ვიქნები.

**— „დინამოსთან" ერთად ჯერ არ გივარჯიშია?**

— არა, გუნდი „ლევადიასთან" მატჩისთვის ემზადებოდა, მე კი ცალკე ვვარჯიშობდი.

**— „ლევადიასთან" მატჩს დაესწარი. „დინამოზე" როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?**



— ესტონელებს პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ და თბილისში თამაშის ჩასაშლელად ჩამოვიდნენ. არც თავად თამაშობდნენ, არც „დინამოს" აძლევდნენ ამის საშუალებას. თუმც პირველი გოლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ, ტაქტიკა შეეცვალათ. „დინამოს" პოტენციაც ამის მერე გამოჩნდა. ვფიქრობ, „ბრონდბიუსთან" მატჩამდე გუნდი უფრო შეთამაშდება და მოუმატებს...

**— მაგრამ „ბრონდბიუც" რომ „ლევადიაზე" ძლიერია?**

— დღეს უძლეველი მეტოქე არ არის. „დინამოს" თავის იმედი აქვს. არა მგონია, „ბრონდბიუ" ჩვენთან შეხვედრამდე აშკარა ფავორიტი იყოს. დღესდღეობით შანსები თანაბარია, მაგრამ თბილისური მატჩისას ვეცდებით, ეს შანსები ჩვენ სასარგებლოდ გავზარდოთ.

**კობა ინასარიძე**

# ბრონდბიუ — ლაუდრუპების გული

## დინამო ზაზას გზისკენ

**ბრონდბიუ**

კოპენჰაგენი, დანია

დაარსდა 1964 წელს
პრეზიდენტი: ტორბენ რიოსტერი
გენერალური დირექტორი: პერ ბიერგაარდი
ბიუჯეტი: 22 მილიონი ევრო
სტადიონი: „ბრონდბი სტადიუმი" (26 000 მაყურებელი)
ტიტულები: დანიის ჩემპიონი – 10 (1985, 87, 88, 90, 91, 96, 97, 98, 2002, 2005)
დანიის თასი – 5 (1989, 94, 98, 2003, 2005)
ევროტურნირებზე: მონაწილეობდა 23-ჯერ – 104 თამაში, +44=24–36, 151:123
ჩემპიონთა თასზე: მონაწილეობდა 10-ჯერ – 38 თამაში, +13=7 –18, 46:57



„ბრონდბიუმ" დანიის ჩემპიონობა იზეიმა

თბილისის „დინამო" 1999 წლის შემდეგ პირველადაა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. აბა, რა დიდი მიღწევა ესაა, მაგრამ როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო და სამეორეეტაპოდ ჩვენს საკლუბო ფლაგმანს დანიის ჩემპიონი „ბრონდბიუ" ელოდება, ჰოდა, ახლოს გავიცნოთ ეს კლუბი: თამაშები კარზეა მომდგარი, 26 ივლისსა და 3 აგვისტოს, ჯერ თბილისში, ერთი კვირის თავზე კი კოპენჰაგენში...

„ბრონდბიუ" კოპენჰაგენის ინდუსტრიული უბნის გუნდია, 41 წლის წინ დანიის დედაქალაქის მერმა კიელდ რასმუსენმა საფეხბურთო კლუბის დაარსება გადაწყვიტა და იდეა მალევე განახორციელა. ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებისო — „ბრონდბიუს" თავიდანვე მდუღარე ცხოვრება არ ჰქონია, კლუბმა 17 წელი იხეტიალა დანიის მეორე-მესამე დივიზიონებში და 1981 წელს სუპერლიგაში ალზევდა.

აქ შევჩერდეთ, რადგან „დინამოს" მეტოქის აღმასვლა სწორედ ამ წლიდან იწყება. და ვინ არიან მისი შემოქმედები? ლაუდრუპების ოჯახი. „ლაუდრუპების გული ამ გუნდშია" — ასე ამბობენ იქაურები. დიახ, უცნობილესი დანიელი ვარსკვლავების, მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპების მამა, ფინი, იმ წლებში ავსტრიული „ვიენადან" გადმოიყვანეს, ეს კაცი მინდორზე შვილებივით არ ჩაუქობდა, მაგრამ კარიერის დასრულებისთანავე სელექციას მიჰყო ხელი და იცოცხლეთ, რაც „ბრონდბიუს" ტალანტები მოუძია.

...ნელ-ნელა „ბრონდბიუ" უკვე პირველი კლუბი გახდა დანიაში. 1985 წელს ლურჯ-ყვითლების გუნდმა ქვეყნის ჩემპიონობას უწია, მერე კი მიჰყვა და მიჰყვა. ლარს ოლსენი, კიმ კრისტოფტე, ჯონ იენსენი, კიმ ვილფორტი, ოლე მადსენი და, რა თქმა უნდა, მიქაელ ლაუდრუპი — ეს ფეხბურთელები ქმნიდნენ „ბრონდბიუს" ჰეგემონიას ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში. თუმცაღა ლაუდრუპი „ოქროს ბრონდბიუს" არ შესწრებია, იგი მანამდე გადავიდა ტურინის „იუვენტუსში", როგორც „დინამიტების" ამომავალი სუპერვარსკვლავი და როგორ გაამართლა ეს სახელი, მგონი, კარგად იცით. და რადგან დანიელ ვარსკვლავებში ვტრიალებთ, რომელი ერთი ბრონდბიუგამოვლილი დავასახელოთ: ბრაიან ლაუდრუპი, პეტერ შმაიხელი... გამონაკლისი მხოლოდ პრებენ ელკიაერ-ლარსენი, ფლემინგ პოულსენი, სორენ ლერბიუ და იონ დალ ტომასონი თუ არიან...

„ბრონდბიუს" საუკეთესო ევროსეზონი 1990-91 წლების უეფას თასზე ჰქონდა, როცა ერთმანეთის მიყოლებით გამოთიშა მასზე სახელიანები: ფრანკფურტის „აინტრახტი", ავსტრიული „ადმირა", „ლევერკუზენი" და მოსკოვის „ტორპედო", ნახევარფინალში კი იტალიურ „რომასთან" (0:0, 1:2) ერთი გოლი დააკლდა, თორემ „ინტერს" შეხვდებოდა ფინალში. „ბრონდბიუს" იმღროინდელმა სენსაციამ შმაიხელის, იეს ჰოგისა და მარკ რიპერის კისერზე გადაიარა.

კოპენჰაგენელებს კატასტროფულად არ უმართლებთ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე. გუნდმა ერთადერთხელ, 1998-99 წლების სეზონში გააღწია ძირითად ბადეში, სადაც ჯგუფში მომავალ ფინალისტებთან, „მანჩესტერ იუნაიტედთან"



„დინამოს" მეტოქე ქომაგებით განებივრებულია

და „ბაიერნთან", ასევე „ბარსელონასთან" მოხვდა: „ბრონდბიუმ" მიუნხენელებს 2:1 მოგება შეჰბედა, დანარჩენი 5 თამაში კი უიმედოდ წააგო — აბა, ასეთ კომპანიაში რა უნდა ექნა?!

საერთოდაც, „დინამოს" მეტოქეს უცნაური ევროსტატისტიკა აქვს: ტოტალიზატორის ენაზე რომ ვთქვათ, „გასვლის გუნდია", რაც 1996 წელსაც დაამტკიცა, როცა გერმანულ „კარლსრუესთან" კოპენჰაგენში წაგებული 1:3-ის შემდეგ გასვლაზე 5:0 მიანგრია მეტოქე. ასეთი კიდევ ბევრი გაუკეთებია და ესეც ერთგვარი სიგნალი დინამოელებს...

და რას წარმოადგენს დღეს ლამაზი „ბრონდბი სტადიუმის" ბინადარი? გეტყვით: გუნდი 12-ქულიანი უპირატესობით გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თასის ფინალში „მიდტიულანდს" 3:2 მოუგო და 13 ივლისს იმავე „მიდტიულანდს" სუპერთასზეც მოერია — 2:1. ცალკე სალაპარაკოა „ბრონდბიუს" მწვრთნელი, რომელიც უკვე ვახსენეთ: მიქაელ ლაუდრუპი წელიწადნახევრის წინ ჩაუდგა გუნდს სათავეში, შარშან ვერაფერი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონ „კოპენჰაგენს", მაგრამ წლეულს ხომ ხედავთ, დანიური „ჰეთ-თრიკი" გაახერხა.

ლაუდრუპმა შარშან ვერც ევროსარბიელზე იმარჯვა, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლატვიურ „ვენტსპილსთან" გამოვარდა (0:0, 1:1), მაგრამ „დინამო" ნუ მოდუნდება — „შარშან" უკვე არქივში წერია...

ამ ზაფხულს „ბრონდბიუ" მნიშვნელოვნად შეიცვალა. წავიდნენ გამოცდილი ნახევარმცველი მორტენ ვიგჰორსტი, დანიის ახალგაზრდული ნაკრების ყველაზე პერსპექტიული ფორვარდი თომას კალენბერგი ფრანგულ „ოსერში" გაიყიდა, ასევე ახალგაზრდულის შუახაზელი სებასტიან სვარდი ლონდონის „არსენალშია" გასინჯვაზე, ხოლო შვედი გამთამაშებელი ბაბის სტეფანიდისი „ჰელსინგბორგს" დაუბრუნდა.

„ბრონდბიუს" ოთხი ახალწვეული ჰყავს: მცველი ალან ოლესენი „ნორდსიელანდიდან", ვეტერანი ლატვიელი აური სკარბალიუსი „ჰერფოლგედან", თავდამსხმელი კიმ კრისტენსენი ჰოლანდიური „ტვენტედან" და ბუნდესლიგაში ჭიპმოჭრილი ნახევარმცველი მარკუს ლანცი „ჰანზადან".

მოკლედ, ქაღალდზე არითმეტიკულად ყველაფერი მარტივადაა: ოთხი მოთამაშე წავიდა, ოთხიც მოვიდა. გასულ სეზონში კოპენჰაგენელთა მთავარი მეგოლეები კალენბერგი და მორტენ სკუბო გახლდნენ 11-11 გოლით. სკუბო დანიის ნაკრების კანდიდატია და მიონხენგლადბახის „ბორუსიაშიც" მოუსწრია თამაში. მარჯვენა გარემარბი იონას კამპერი კი შარშანდელ საქართველო — დანიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩიდანაც გვახსოვს, მაშინ იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე. მათ გარდა, „ბრონდბიუს" ძირითად თერთმეტეულში თითქმის მუდმივად თამაშობენ მეკარე ზაზა, ნილსენი, იოჰანსენი, რეტოვი, ბაგერი, ელმანდერი, აგერი და იორგენსენი.

გუშინდელმ დანიის სუპერლიგა დაიწყო და „ბრონდბიუმ" „მიდტიულანდს" უმასპინძლა, თბილისში ჩამოსვლამდე ლაუდრუპის ბიჭები 23 ივლისს „სილკებორგთანაც" შინ ითამაშებენ. ცოტაც სტადიონზე ვთქვათ: „ბრონდბი სტადიუმზე" დანიის ჩემპიონატის მატჩებს საშუალოდ 16 000 მაყურებელი ესწრება, თუმცა „დინამოსთან" ალბათ ცარიელ ადგილს არ დატოვებენ...

**ილია ნანოგაშვილი**





დანიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა მიქაელ ლაუდრუპი და „ბრონდბიუს" მეგოლე მორტენ სკუბო

**ბრონდბიუ 2005-2006**

მეკარეები
1 კარიმ ზაზა (1975)
16 კასპერ ანკერგრენი (1979)

მცველები
2 აური სკარბალიუსი (1973, ლიტვა)
3 ალან ოლესენი (1982)
4 პერ ნილსენი (1973)
5 დან ანტონ იოჰანსენი (1979)
14 თომას ჰანსენი (1983)
18 ჰენრიკ კილდენტოფტი (1985)
20 ასბიორნ სენელსი (1979)
21 ნიკი ზიმლინგი (1985)

ნახევარმცველები
6 მარკუს ლანცი (1975, შვედეთი)
8 კიმ დაუგაარდი (1974)
9 მარტინ რეტოვი (1980)
12 იონას კამპერი (1983)
13 სტეფან შმიდტი (1975)
26 მადს იორგენსენი (1979)

თავდამსხმელები
7 კასპერ ლორენტსენი (1985)
11 კასპერ დალგასი (1976)
15 რუბენ ბაგერი (1972)
17 მორტენ სკუბო (1980)
19 იოჰან ელმანდერი (1981, შვედეთი)
22 დანიელ აგერი (1984)
24 იოჰან აბსალონსენი (1984)
25 კიმ კრისტენსენი (1980)

მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი

# სერი ახალგაზრდებზე გადაერთო
## რუუდი ძველ ნისტელროის გვპირდება

**„მანჩესტერ იუნაიტედი“** სხვა კლუბების დარად მომავალი სეზონისთვის ემზადება, თუმც „წითელი ეშმაკები“ სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით დიდად არ აქტიურობენ. ედვინ ვან დერ სარის ყიდვის შემდეგ „ოლდ ტრეფორდის“ ბინადრებმა კიდევ ერთი მეკარე დაიმატეს.

საუბარი 22 წლის ბენ ფოსტერზეა, რომელსაც სერ ალექს ფერგიუსონი გუნდის მომავალ პირველ მეკარედ მიიჩნევს. ახალგაზრდა გოლკიპერი „სტოკ სიტის“ საკუთრება გახლდათ, თუმც წინა სეზონი „ვესტ ჰემში“ გაატარა და შესამჩნევად დაეხმარა ლონდონელებს, პრემიერლიგაში დაბრუნებულიყვნენ.

თუმც უკვე გადაწყვეტილია, რომ სულ ცოტა მომავალ სეზონს, ფოსტერი სხვა კლუბში გაატარებს, საჭირო პრაქტიკას მიიღებს და კლასს უფრო აიმაღლებს.

„ძალიან გახარებული ვარ, რომ საბოლოოდ ყველაფერი დასრულდა. ათი დღის მანძილზე დაძაბული ვიყავი და ვნერვიულობდი. ბოლომდე ვერაფრით დავიჯერე, რომ „მანჩესტერში“ გადავდიოდი. სერ ალექს ფერგიუსონსა და დევიდ გილს უკვე შევხვდი, რომლებიც ფეხბურთელებს ყველა პირობას უქმნიან, ეს საოცარია. რა თქმა უნდა, ილუზიას არ ვიქმნი, რომ გუნდში დამკვიდრება ადვილი იქნება და ყველაფერი თავისით მოვა. მომავალ სეზონს რომ სხვა კლუბში გავატარებ, ეს წინასწარ ვიცოდი. ამჟამად რამდენიმე წინადადებას განვიხილავთ და გადაწყვეტილებას ალბათ მალევე მივიღებთ“ — განაცხადა ფოსტერმა.

სერ ალექს ფერგიუსონი კი ფოსტერის გარდა, ბოლო პერიოდში კლუბის კიდევ ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელ ჯუზეპე როსის აქებს. შარშან „პარმადან“ ნაყიდი 18 წლის ფორვარდი „მანჩესტერის“ სარეზერვო გუნდში ბრწყინვალედ ათამაშდა და გოლი გოლზე გააქვს. შოტლანდიელი სპეციალისტი იტალიელით აღფრთოვანებულია და შესაძლოა, მომავალ სეზონში იგი ძირითად განაცხადშიც შეიყვანოს ხოლმე.

„ჯუზეპე ძალიან კარგი ახალგაზრდაა. იგი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და, იმედია, წინ დიდი მომავალი აქვს. როსი დასკვნით ფაზაში ბრწყინვალედ თამაშობს და თუ დააკვირდებით, თავადაც დარწმუნდებით. მთავარია, უფრო და უფრო მოუმატოს. მართალია, მას სერიოზული პოტენციალი აქვს, მაგრამ ძირითად გუნდში მოხვედრა და დამკვიდრება გაუჭირდება, რადგანაც ფორვარდისთვის ეს ყოველთვის რთულია“ — აღნიშნა ფერგიუსონმა.

ამასობაში, „წითელი ეშმაკების“ ჰოლანდიელი ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი გულშემატკივარს ბევრად უკეთესს თამაშს ჰპირდება. მოგეხსენებათ, „მანჩესტერის“ მთავარ მეგოლეს გასული სეზონი აშკარად ჩაუვარდა და მის წასვლაზეც კი ალაპარაკდნენ.

„ეჭვგარეშეა, რომ წინა სეზონი იმედგაცრუება იყო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მთლიანად გუნდისთვის, თუმც ეს კარგი გაკვეთილი გახლდათ და ახლა უფრო მოტივირებულნი ვართ. ხელი ტრავმამაც შემიშალა, ამჟამად მწყობრში ვარ და ყველანაირად ვეცდები, ძველებურად ვითამაშო. უნდა დავამტკიცოთ, რომ კვლავ ერთ-ერთ საუკეთესოებად ვრჩებით“ — ვთქვა ჰოლანდიელმა.

„მანჩესტერის“ ბრაზილიელ ლეგიონერ კლებერსონს კი „სელტა“ უტრიალებს. 26 წლის ნახევარმცველი გუნდს ვერაფრით მოერგო და წასვლაზე თავადაც ფიქრობს. მისი მსურველები კიდევ არიან, მაგრამ პრიმერადივიზიონში დაბრუნებული ვიგოელები ყველაზე მეტად აქტიურობენ. ეს ინფორმაცია უკვე ფერგიუსონმაც დაადასტურა.

როგორც ამბობენ, ინგლისელები კლებერსონის სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას ითხოვენ, რაც „სელტას“ ეძვირება, თუმც მოლაპარაკება გრძელდება.

**გიორგი ძაძაბაძე**



რუუდ ვან ნისტელრომ დაიქადნა, გოლებს ძველებურად გავიტანო





მილან ბაროში რაფაელ ბენიტესის სამომავლო გეგმებში არ შედის

# პლუს მინუს მილანი და ლივერპულის უცნაურობანი

**ლონდონური** „ვესტ ჰემის“ თავკაცმა ალან პერდიუმ განაცხადა, რომ „ლივერპულში“ მოთამაშე ჩეხის, მილან ბაროშის ყიდვა სურს.

„ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ და ჯიქურ ვაპირებ მილანის შესახებ საუბრის დაწყებას. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ ბაროში კვლავ კონტრაქტის პირობებით არის „ლივერპულთან“ შეკრული, თუმცა აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენ მაინცდამაინც ბაროშის ყიდვა კი არა, ზოგადად თავდამსხმელის ყიდვა გვჭირდება. ასე რომ, თუ ვინმე ჩეხის დონისა გამოჩნდება, მას შევიძენთ“ — განაცხადა პერდიუმ.

ეს საუბარი კი იმიტომ დაიწყო, რომ პიტერ კრუჩის ყიდვის შემდეგ, „ლივერპულის“ თავკაცმა რაფა ბენიტესმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, თუ რომელიმე კლუბი 7 მილიონ გირვანქას გადაიხდის, მზად ვარ, 23 წლის მილან ბაროში გავყიდოო. ერთი სიტყვით, კრუჩის დამატების შემდეგ „ლივერპულის“ თავდასხმაში მასთან ერთად დაგროვდნენ უკვე ხსენებული ბაროში, ფერნანდო მორიენტესი, ჯიბრილ სისე და ენტონი ლე ტალეკი.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ბაროშის „წითლებში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი, პირველად ახლა კი არა, მაშინ წამოიჭრა, როდესაც იგი ჩემპიონთა ლიგის თამაშებში სათადარიგოთა სკამზე დასვეს.

ბენიტესი: „მილანი რასაკვირველია ძალიან მაღალი კლასის თავდამსხმელია, გასულ სეზონში მან ინგლისის ჩემპიონატში ჩვენს გუნდში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, მაგრამ მაგრამ ახლა საქმე ასარჩევად გვაქვს და ამიტომ სხვადასხვა შემოთავაზებებსაც არ გამოვრიცხავთ“.

და მართლაც, სულ უბრალო ლოგიკითაც ჩანს, რომ ოთხი, მითუფრო ხუთი თავდამსხმელის ყოლა ძალიან დიდი ფუფუნებაა. ძლიერ თავდამსხმელთა რაოდენობა სწორედ ის გახლავთ, რაც ბენიტესს გასულ სეზონში აშკარად აკლდა. გაიხსენეთ: სისე კარგა ხანს დაშავებული იყო, იანვარში შემატებული მორიენტესი კი ჩემპიონთა ლიგაში ვერ თამაშობდა.

„იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ, „ლივერპულის“ თავდამსხმელებს ძალიან ბევრი მუშაობა მოუწევთ და მე ეს ხელს მაძლევს — დასძინა ბენიტესმა — ამწუთას, ჩვენს ვარჯიშებს ყველა ფორვარდი ესწრება, ხოლო ბაროშს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, სრული პერსპექტივა აქვს. მინდა გასაგებად გამომივიდეს ნათქვამი, გასაყიდად არავის ვამზადებ, მაგრამ თუ ღირსეულ წინადადებებს მივიღებთ, შესაძლოა, ვინმე გავყიდოთ. აქ ყველაფერი წინადადებასა და კერძოდ, ფეხბურთელზეა დამოკიდებული“.

ამბობენ, რომ მილან ბაროშისადმი ინტერესს „ასტონ ვილა“, „ლიონი“ და „ვალენსიაც“ ამჟღავნებენ, მაგრამ ჩვენ ახლა ვექტორი შევცვალოთ და ერთი უცნაური ამბავიც ვნახოთ: ვის მიმართ ამჟღავნებს ინტერესს თავად „ლივერპული“?

როგორც ირკვევა, ეს ფეხბურთელი ლაკორუნიულ „დეპორტივოში“ მოთამაშე ესპანელი, ისევე და ისევ თავდამსხმელი ალბერტ ლუკეა. როგორც იბერიული გაზეთები წერენ, ლუკეს შეძენაში „ლივერპულმა“ მადრიდის „რეალის“ ჯობნა გადაწყვიტა და საამისოდ ირჯება კიდეც.

აი, ახლა კი გაგვაგებინეთ, რა ხდება... თუმცა, რაც არ უნდა ხდებოდეს, აღსანიშნავია, რომ ბენიტესმა ლუკეს თავის გუნდში მოყვანა ჯერ კიდევ 2002 წელს სცადა, როდესაც „ვალენსიას“ ედგა სათავეში, მაგრამ მაშინ თითქმის მოთავებული საქმე ჩაუვარდა და ფეხბურთელთან კონტრაქტი „დეპორტივომ“ გააფორმა. საკუთრივ ლუკეს კი განუცხადებია, რომ ჯერ „დეპორის“ პრეზიდენტის, ავგუსტო სესარ ლენდოიროს ნებართვა უნდა, შემდეგ კი ორივე მსყიდველთან დალაპარაკება, რათა კარგად გაარკვიოს, რომელ წინადადებაზე სჯობს დათანხმება.

შეგვიძლია კიდევ დავაზუსტოთ: გალისიური ცნობების თანახმად, „ლივერპულმა“ ალბერტ ლუკეს შესაძენად ნიადაგი უკვე ორჯერ მოსინჯა, ხოლო ახლა მესამე და სამართალზეა მიმდგარი. რაც შეეხება თანხას, თავდაპირველი ცნობების მიხედვით, საუბარი 14 მილიონ ევროს პლუს მცველ ხოსემიზე გახლდათ, შემდეგ კი ესპანეთში სიტყვა ასე თქმულა: თუ ბენიტესი 15 მილიონს შემოგვთავაზებს, შეძლება მოლაპარაკებათა მაგიდას მივუჯდეთ კიდეცო.

**პაპუნა ძედია**

# გუტი არსენალს სათოფეზე მიუახლოვდა

**ხოსე მარია გუტის** აგენტმა ზორან ვეკიჩმა დაადასტურა, რომ მისი კლიენტი შესაძლოა, პრემიერლიგურ კლუბში გადავიდეს.

მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ გუტი აითვალწუნა, რადგან ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში უთამაშებლობით უკმაყოფილოა. მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ ამის თაობაზე გუშინ განაცხადა, გუტის მყიდველი, თუ გამოჩნდება, ჩვენ სათანადო ფასად დავუთმობთო.

ინგლისური კლუბებიდან ესპანელი ნახევარმცველით „ტოტენჰემი“, „ევერტონი“ და „არსენალი“ დაინტერესდნენ. სამეულიდან კი ხოსე მარია გუტი ალბათ „არსენალს“ აირჩევს.

ზორან ვეკიჩი: „გუტისთვის „არსენალი“ საუკეთესო ვარიანტია. მას მოსწონს „მეთოფეთა“ სათამაშო ყაიდა და არსენ ვენგერის მწვრთნელობითაც მოხიბლულია“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ხოსე მარია გუტი

# მორატი ისევ ოპტიმისტია
## რა გინდა, მიხაელ?


მარკო დი ვაიო „ინტერში" გადასვლასთან ახლოსაა

*მილანის „ინტერმა" მარკო დი ვაიოსგან საპასუხო სიგნალი მიიღო. მოგეხსენებათ, „ნეროაძურის" თავკაცმა რობერტო მანჩინიმ ცოტა ხნის წინ თქვა, ფორვარდის დამატება გვინდა და ეს ეგებ დი ვაიო იყოსო. ახლა კი თავად ფეხბურთელმა განაცხადა, მზად ვარ, სამშობლოში დავბრუნდე და „შავ-ლურჯებს" შევუერთდეო*

„ისეთ საოცარ ქალაქებში მითამაშია, როგორიც ტურინი და რომია. ახლა მილანის ჯერია და იმედია, „ინტერში" გადავალ. ეს სამი წლის წინ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოულოდნელი დაბრკოლება შემექმნა და კარგი იქნება, თუ ახლა მაინც მოხერხდება. თანაც რობერტო მანჩინი ჩინებული სპეციალისტია" — განმარტა „ვალენსიას" ფორვარდმა.

მასიმო მორატი და კომპანია ალბათ უახლოეს მომავალში დაიწყებენ „ვალენსიასთან" მოლაპარაკებას. ესპანელებს დი ვაიოს გაყიდვის სურვილი არ გამოუთქვამთ, მაგრამ სავარაუდოა, რომ სარფიან წინადადებაზე უარს არ იტყვიან.

მანამდე კი „ინტერის" მფლობელი „რეალთან" მოლაპარაკებებს განაგრძობს, რათა ვალტერ სამუელისა და ლუიშ ფიგუს ტრანსფერები საბოლოოდ შეათანხმოს. იგი ქომაგებს შეჰპირდა, ყველაფერი კვირის ბოლომდე მოგვარდებაო და იმედს არ კარგავს.

„მნიშვნელოვანი წინსვლა ჯერ არ არის. თუმც მჯერა, კვირის ბოლომდე ბევრი რამ გაირკვევა. შეთანხმებას აუცილებლად შევძლებთ" — განაცხადა მორატიმ.

გავრცელებული ცნობით, პორტუგალიელი ნახევარმცველის შემთხვევაში პრობლემა მისი დიდი ხელფასია, ხოლო ვალტერ სამუელის სანაცვლოდ „სამეფო კლუბი" 16 მილიონ ევროს ითხოვს.

პარალელურად გრძელდება საუბრები მიხაელ ბალაკის „შავ-ლურჯებში" შესაძლო გადასვლის შესახებ. როგორც გაირკვა, გერმანელისა და „ბაიერნის" უფროსობის მოლაპარაკება, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, ისევ უშედეგოდ დასრულდა. შესაბამისად, იზრდება იმის შანსი, რომ მიუნხენელები 28 წლის ნახევარმცველს ახლავე გაყიდიან. „ინტერის" გარდა, მისი მსურველი კიდევ ბევრია.

ხოლო თავად ფეხბურთელი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ „ბაიერნიდან" წასვლა თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა, ახლა სხვანაირად ალაპარაკდა: „სულ ცოტა, კიდევ ერთი წელი მიუნხენში დავრჩები. ჩვენ ჩემპიონის ტიტული უნდა დავიცვათ, ასევე ქვეყნის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულად უნდა ვითამაშოთ. მინდა, ამ ყველაფრის ნაწილი ვიყო. .ამჟამად კარგ სიტუაციაში ვარ, რადგან ფართო არჩევანის საშუალება მაქვს. ეს ჩემს კარიერაში ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება. „ბაიერნში" თავს კარგად ვგრძნობ და, ჩემი აზრით, თუ მოსაფიქრებლად გარკვეული დრო მექნება, უფრო დიდი შანსია, რომ კონტრაქტი გავახანგრძლივო".

როგორც ირკვევა, „ინტერს" „ბაიერნის" კიდევ ერთი ფეხბურთელისთვის, ვილი სანიოლისთვისაც დაუდგამს თვალი. იტალიაში გადაბარგებას არც თავად ფრანგი გამორიცხავს. შეგახსენებთ, რომ მიუნხენელთა ორი ყოფილი მცველი, სამუელ კუფური და რობერტ კოვაჩი უკვე გადაბარგდნენ სერია A-ში.

„ვიცი, რომ მილანური კლუბი ჩემით დაინტერესებულია და ეს სასიამოვნოა. არ გამოვრიცხავ, ადრე თუ გვიან მეც კუფურისა და კოვაჩის გზას დავადგე. ჩემს თანამემამულეებს, ლილიან ტურამსა და დავიდ ტრეზეგეს, ბევრჯერ უთქვამთ, რომ სერია A მართლაც ჩინებული ჩემპიონატია. იტალია და იქაური ფეხბურთი მეც მხიბლავს" — თქვა სანიოლმა.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ „ინტერმა" კლუბის ახალგაზრდა მცველი ალესანდრო პოტენცა „მალიორკაში" გაყიდა. ტრანსფერის დეტალები ჯერჯერობით უცნობია. პოტენცას შეძენა, „ნეროაძურის" ყოფილი და კუნძულელთა ამჟამინდელი თავკაცის, ექტორ რაულ კუპერის ინიციატივა იყო.

არგენტინელმა სპეციალისტმა პოტენცა ივან რამოსის ნაცვლად დაიმატა და ახლა ამ უკანასკნელს ახალი კლუბის ძიება მოუწევს. კუპერი რამოსის სათამაშო ფორმით არ არის კმაყოფილი.

შეგახსენებთ, რომ „მალიორკამ" აქამდე კიდევ ოთხი ფეხბურთელი შეიძინა — ტონი პრატსი, ფრანსისკო მასიელო, ფერნანდო ნავარო და ბორბა. სეზონის დაწყებამდე კი კუპერი კიდევ ერთი ამდენის დამატებას გეგმავს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# აჯანყებულები პარიზში
## ბუენოს და როდრიგესს პენიაროლი ეძებს

**ფრანგულმა** პსჟ-მ ურუგვაელი ფეხბურთელები შეიძინა — პარიზულმა კლუბმა „პენიაროლიდან" 19 წლის ნახევარმცველი კრისტიან როდრიგესი და 25 წლის ფორვარდი კარლოს ბუენო გადაიბირა. ორივე ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია.

როდრიგესსა და ბუენოს „პენიაროლთან" კონტრაქტი დაუსრულდათ და პსჟ-ში ოთხი წლით გადავიდნენ, მაგრამ „პენიაროლის" მესვეურები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელები ჯერაც მათ საკუთრებაში არიან. არაა გამორიცხული, საქმეში ფიფაც ჩაერიოს.

პსჟ-ს პრეზიდენტმა პიერ ბლაიომ კი განაცხადა: „პრობლემები იმიტომ შეგვექმნა, რომ ყოფილი კლუბის პატრონს, ბუენოსთან და როდრიგესთან უთანხმოება მოუვიდა. ჩვენ ყველაფერი კანონიერად გავაკეთეთ. ისინი თავისუფალი აგენტები იყვნენ და „პენიაროლის" არაფერი გვმართებს".

როგორც გაირკვა, „პენიაროლმა" ორივე ფეხბურთელი გუნდში „აჯანყების" მცდელობაში დაადანაშაულა და სათადარიგოებში გადაიყვანა.

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ კარლოს ბუენოსა და კრისტიან როდრიგესის ჩახლართული საქმე 15 დღეში უნდა გაარკვიოს.

**ვაჟა ხუციშვილი**


კარლოს ბუენო


სტეფან აპია არჩევანით კმაყოფილია

# ფენერი აპიას აპიარებს

**თურქულმა** „ფენერბაჰჩემ" საბოლოოდ მიაღწია საწადელს და „იუვენტუსის" განელი ნახევარმცველი სტეფან აპია შეიძინა. მხარეები 5,5 მილიონ გირვანქაზე შეთანხმდნენ. ამ თანხას სტამბოლელები ოთხი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ გადაიხდიან. სავარაუდოდ, თავის ახალ კლუბთან ასევე ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს 24 წლის ფეხბურთელიც.

აპია ხომ დაიბევა და ახლა „ფენერბაჰჩე" რუშთუ რეჩბერზე გადაერთო. როგორც იცით, თურქეთის ნაკრების მეკარე ჯერ კიდევ „ბარსელონას" საკუთრებაა, მაგრამ „კამპ ნოუზე" მას მომავალი არა აქვს. გასული სეზონი გამოცდილმა რუშთუმ „ფენერში" არენდის წესით გაატარა და ახლა სტამბოლელებს მისი ბოლომდე გამოსყიდვა უნდათ.

თავად რუშთუსაც კარიერის დასრულება „ფენერბაჰჩეში" გადაუწყვეტია და ყველანაირად ცდილობს, „ბარსელონასთან" კავშირი გაწყვიტოს. თუმცა შეთანხმება ჯერჯერობით არ ხერხდება. ესპანელები ბევრად მეტს ითხოვენ, ვიდრე თურქები იხდიან.

„კლუბის დირექტორები შეხვდნენ რუშთუს და ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. იგი ამაზე თანახმაა და გადაწყვეტილი აქვს, კარიერა „ფენერბაჰჩეში" დაასრულოს. ახლა „ბარსელონასთან" უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას. კვირის ბოლოს კატალონიაში თავად რუშთუ ჩავა და ყველაფერს გაარკვევს" — ნათქვამია სტამბოლელთა ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

იქვე საუბარია აპიას შეძენაზეც, რითაც თურქული კლუბი ცხადია, ძალიან კმაყოფილია. „ფენერბაჰჩეს" უცხოელობა განელზე დიდ იმედებს ამყარებს.

**გიორგი ძაძაბაძე**

# პეტროვი მგლებს გაშორდა


მარტინ პეტროვი

**თითქმის** ერთთვიანი ვაჭრობის შემდეგ, მადრიდის „ატლეტიკო" „ვოლფსბურგს" მარტინ პეტროვის ტრანსფერზე მოურიგდა. ესპანური კლუბი ბუნდესლიგურს 10 მილიონ ევროს გადაუხდის, ბულგარელი ფეხბურთელი კი კონტრაქტზე ხელს მოაწერს.

„ატლეტიკომ" უკვე შეიძინა სერბი მატეა კეჟმანი და არგენტინელი მაქსი როდრიგესი. შეგახსენებთ, რომ მადრიდულ კლუბს არგენტინელი კარლოს ბიანკი წვრთნის.

მარტინ პეტროვმა კარიერა „ბოტევში" დაიწყო, მერე სოფიის ცსკაში გადავიდა და იქიდან შვეიცარიულ „სერვეტს" მიაშურა.

2000-ში ბულგარელი ფორვარდი „ვოლფსბურგმა" 3 მილიონ 500 ათას ევროდ შეიძინა. ბუნდესლიგაში ხუთი წელი ითამაშა და 116 მატჩში 28 გოლი გაიტანა. გასულ სეზონში „მაინცთან" მოგებული (4:3) შეხვედრაში, პეტროვმა პოკერი შეასრულა. კლუბის ქომაგთა გამოკითხვით, იგი 2004-2005 წლების სეზონის „ვოლფსბურგის" საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ომარი დაიკარგა

**მექსიკის** ყველაზე სახელიანი კლუბის, „კრუზ ასულის" მწვრთნელი რუბენ ომარ რომანო გაიტაცეს. გუნდის ვარჯიშიდან სახლისკენ მიმავალი კაცი ყაჩაღებმა ავტომობილიდან ჩამოსვეს, ფურგონში ჩააგდეს და გაუჩინარდნენ. ამის შესახებ „კრუზ ასულის" პრეზიდენტმა ალფრედო ალვარესმა განაცხადა.

ცნობილია, რომ გამტაცებლები ხუთნი იყვნენ. პოლიციამ გამოძიება დაიწყო, მაგრამ ჯერ ვერაფერს მიაგნო. რუბენ ომარ რომანოს მამამ ყაჩაღებს შეუთვალა, გთხოვთ, ჩემს შვილს ნურაფერს ავნებთო.

„კრუზ ასულის" მწვრთნელი თვეში დაახლოებით 100 ათას დოლარს იღებდა და ვარაუდობენ, რომ მისი გატაცების მიზეზი სწორედ რომ მსუყე ხელფასია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დიდი შერიგება

## შევჩენკო: ყველაფერი მალდინის ბრალია

## ანჩელოტი: გთხოვთ მერწმუნოთ, უკრაინელთან პრეტენზია არ მაქვს

## და რა უნდა ჯილარდინოს?



კარლო ანჩელოტისა და ანდრეი შევჩენკოს შელაპარაკებას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა

**ანდრეი შევჩენკოსა და კარლო ანჩელოტის შელაპარაკებას, ცხადია, გამოხმაურება და გაგრძელება მოჰყვა. „მილანის" უკლებლივ ყველა წევრი ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ინციდენტი ამოწურულია და არანაირ უსიამოვნებას ადგილი არა აქვს. თუმც ვითარება ასეთი იდეალური რომ არ არის, ალბათ თავადაც ხვდებით. ამ ამბებმა ცოტა არ იყოს და მეორე პლანზე გადასწია „როსონერის" წინასასეზონო მზადება და „სან სიროზე" ალბერტო ჯილარდინოს გადასვლა, მაგრამ ჯობს, ყველაფერს უფრო დეტალურად მივყვეთ...**

**როგორც** უკვე გაუწყეთ, ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შევჩენკომ სახიდან სპეციალური მეტალის დამცავი „თეფშის" მოშორება გადაწყვიტა, რომელიც მას თებერვალში, „კალიარისთან" მიღებული ტრავმის შემდეგ ჩაუსვეს. ამ ოპერაციის შესახებ უკრაინელს პაოლო მალდინისთვის უცნობებია, რომელსაც ეს ამბავი ყველასთვის უნდა ეთქვა, მაგრამ მილანელთა კაპიტანი რატომღაც ასე არ მოიქცა.

პარასკევს, ოპერაციის გაკეთების შემდეგ, შევჩენკო სახლში წავიდა და არა „მილანის" საწვრთნელ ბაზაზე. როდესაც ანჩელოტიმ იგი მოიკითხა და მერე ეს ამბავიც გაიგო, უკმაყოფილო დარჩა და ორშაბათს მილანელოში მისულ უკრაინელს ახსნა-განმარტება სთხოვა.

საქმე ისაა, რომ ამ ოპერაციის გამო, რომლის გაკეთებაც აუცილებელი და საჩქარო არ იყო, ანდრეი შევჩენკო დაახლოებით ორი კვირა მინდორზე ვერ გავა და შესაბამისად, გუნდს ამერიკაშიც ვერ გაჰყვება. არადა, ტურნე კომერციულია და იქ უკრაინელის ყოფნა საჭირო გახლდათ. ნიუ იორკში „მილანის" ახალი ფორმის პრეზენტაციაც შედგება და „როსონერი" „უორნერ ბრაზერსთან" გააფორმებს კონტრაქტს.

ანჩელოტი და შევჩენკო სასაუბროდ მილანელოს სამზარეულოს მახლობლად გავიდნენ, ანუ ისეთ ადგილას, რომელიც თეორიულად ჟურნალისტებისგან ერთ-ერთი ყველაზე დაცულია, თუმც ახლოს მაინც აღმოჩნდნენ SKY-ს კორესპონდენტები და დაახლოებით ოცწუთიანი კამათი ფირზე აღბეჭდეს. მასზე ცოტა შორიდან, მაგრამ საკმაოდ კარგად ჩანს შევჩენკო, ხოლო ანჩელოტი ზურგით დგას.

ჟურნალისტებმა უკრაინელის ფრაზები მისი პირის მოძრაობით გაარჩიეს. განსაკუთრებით კარგად ფორვარდის ბოლო სიტყვები ჩანს, რომელიც მან ანჩელოტის იქამდე უთხრა, სანამ ხელს ჩამოართმევდა და კამათიც ასე თუ ისე მშვიდობიანად დასრულდებოდა, თუმც შევჩენკო საკმაოდ ნერვიულობდა და აზრს ემოციურად გადმოსცემდა.

„თუ თქვენთვის ძვირფასი ვარ და მიფრთხილდებით, ძალიან კარგი, თუ არა, მაშინ მომეცით უფლება, წავიდე" — შევჩენკოს ამ ბოლო ფრაზამ უკვე შემოიარა სპორტული გადაცემები და ჟურნალ-გაზეთები.

ანდრეი შევჩენკოს იქამდე ნათქვამი სიტყვები კი SKY-ს ჟურნალისტებმა ასე გაარჩიეს: „მე მეგონა, რომ პაოლო დაგელაპარაკებოდა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ არაფერს გეტყოდა. ყველაფერი რომ აეხსნა, ეს პრობლემაც არ იქნებოდა, თუმცა იგი ყოველთვის ასე იქცევა — ერთთან სხვას ამბობს და მეორესთან სხვას..."

ამ ფრაზებიდან კარგად ჩანს, რომ შევჩენკო პაოლო მალდინიზე ნაწყენია და მასთან არცთუ იდეალური ურთიერთობა აქვს, თუმც თავად „მილანის" კაპიტანს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. მთლიანად ინციდენტი კი მიგვითითებს, რომ ჭორები, უკრაინელ ვარსკვლავს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაფუჭებული აქვსო, მთლად საფუძველს მოკლებული არ არის.

„როსონერის" უფროსობას ანდრეი შევჩენკოს ზედმეტი პრეტენზიულობა არ სიამოვნებს და უკრაინელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაშვებულ შეცდომებს ვერ პატიობს. საერთოდაც, ფორვარდმა გასული სეზონის ბოლო ნაწილი არც თუ დამაჯერებლად ჩაატარა.

მეორე მხრივ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ როდესაც ეს ამბავი „მილანის" მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ შეიტყო, შევჩენკოს მხარი დაიჭირა. ამბობენ, იგი გუნდიდან უმალ ანჩელოტის გაუშვებს, ვიდრე უკრაინელსო.

მიუხედავად ამისა, ჭორები არ ცხრება. ანდრეი შევჩენკო „სან სიროზე" კრისტიან ვიერისა და ალბერტო ჯილარდინოს გამოჩენით მაინცდამაინც გახარებული არ არის და „ჩელსის" წინადადებას სერიოზულად განიხილავსო. ვითარებას რეალურად რომ შევხედოთ, რომან აბრამოვიჩის მიერ უკრაინელისთვის შეთავაზებული ხელფასი, წელიწადში 12 მილიონი ევრო, ხომ მართლაც ძალიან მიმზიდველია, თუმც ამ ტრანსფერის განხორციელებას თავად ფეხბურთელიც კატეგორიულად გამორიცხავს და „მილანის" უფროსობაც.

ანდრეი შევჩენკო: „დიახ, ეს ფრაზა მართლაც ვთქვი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გამესვა — ცუდი არაფერი გამიკეთებია. ახლა ყველანაირად ვეცდები, მწყობრში ორი კვირაზე ადრე ჩავდგე. „ჩელსიში" არ გადავალ, აქ დარჩენა მინდა. „მილანი" მიყვარს, კლუბს კი მე ვუყვარვარ, თანაც ლონდონში გადასვლა ჩემს მეუღლესაც (კრისტენ პაზიკი) არ სურს. იგი მოდელია და თავის საქმიანობას მილანში ეწევა. უბრალოდ, მეტალის „თეფშების" მოშორება მინდოდა. ანჩელოტის ამ ოპერაციის შესახებ არაფერი გაუგია და მისი რეაქცია მესმის, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. ახლა ყველაფერი გავარკვიეთ და ინციდენტი ამოწურულია".

„ჩვენ ჩვეულებრივი საუბარი გვქონდა, რომელიც ოპერაციას არ უკავშირდებოდა. მე პრეტენზია შევჩენკოსთან არ მქონია, მასთან არც რომ ყოფილიყო, საუბარს საჯაროდ არ გავმართავდით. პრესაში ბევრი სისულელე დაიწერა და ანდრეის სიტყვებსაც ჟურნალისტებმა უცნაური ინტერპრეტაციები მისცეს. არ შეიძლება იმსჯელო იმაზე, რაც არ იცი. რა თქმა უნდა, შევჩენკო „მილანში" რჩება, შემიძლია ამის გარანტიაც მოგცეთ. იგი კლუბის მნიშვნელოვანი და განუყოფელი წევრია" — ეს კი კარლო ანჩელოტის სიტყვებია.

ახლა ალბერტო ჯილარდინოზე გადავინაცვლოთ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ 10-ნომრიანი მაისური მანუელ რუი კოშტას დარჩება, ხოლო „პარმას" ყოფილი ფორვარდი „მილანში" 11 ნომერი იქნება.

„აქამდე 11-ნომრიანი მაისური ერნან კრესპოს ეცვა და ეს ჩემთვის დიდი პატივია. იმედია, მის გზას გავაგრძელებ და მეც ბევრ გოლს გავიტან. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს. ნამდვილად არ მეგონა, თუ პირველ დღეს ამდენი ქომაგი დამხვდებოდა. ძალიან გახარებული ვარ და ყველანაირად ვეცდები, შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოვავლინო" — აღნიშნა ჯილარდინომ.

23 წლის ფორვარდის ქცევამ, ცხადია, კარლო ანჩელოტიც გაახარა. სავარაუდოდ, მას „მილანის" სათამაშო ტაქტიკის შეცვლაც მოუწევს, მაგრამ ამაზე საუბრისგან ანჩელოტიმ ჯერ თავი შეიკავა.

„მისმა ჩამოსვლამ ძალიან გაგვახარა, ახლა გაცილებით ძლიერი შემადგენლობა გვყავს. ალბერტო ახალგაზრდა და ამბიციურია, რაც ნამდვილად წაგვადგება. ტაქტიკაზე კი ჯერჯერობით საუბარი არ ღირს. შემიძლია გითხრათ, რომ ალბერტოს ერთ-ერთი ნახევარმცველის ცოტა სხვაგვარად მოუწევს თამაში" — განაცხადა „როსონერის" თავკაცმა.

წუხელ ღამე კი „მილანმა" ტრადიციულ TIM CUP-ის მინი-ტურნირში ითამაშა, სადაც მის გარდა „ინტერი" და „იუვენტუსი" გამოდიოდნენ. „როსონერის" შემადგენლობა საკმაოდ ექსპერიმენტული იყო, რადგანაც გუნდს ამ ეტაპზე ბევრი ფეხბურთელი აკლდა. თუმცა განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, მომავალი სეზონის დაწყებამდე გამართული პირველი მილანური დერბი, რომელშიაც კრისტიან ვიერიმ ასევე პირველად ითამაშა არა „ინტერის", არამედ „მილანის" ფორვარდის რანგში.

გუშინ დილით კარლო ანჩელოტიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ბევრი მოთამაშე გვაკლია, ახალწვეულებიდან — იანკულოვსკი და ჯილარდინო. ფოგელი ჩემს განკარგულებაში იქნება, ისევე როგორც „პრიმავერას" ფეხბურთელი. ამგვარ ტურნირებსა და ამხანაგურ მატჩებს რეალურად დიდი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად, გამარჯვებისკენ სათანადო სწრაფვა უნდა გვქონდეს. რაც შეეხება ვიერის, იგი ბოლომდე მზად არის. ამჟამად კრისტიანი ერთადერთი ფორვარდია გუნდში, რომელიც მწყობრშია. ალბათ სამი მცველით ვითამაშებთ. ჩვენ ყოველთვის ფართო არჩევანის საშუალება გვაქვს".




კრისტიან ვიერიმ და ალბერტო ჯილარდინომ „მილანის" თავდასხმა კიდევ უფრო გააძლიერეს

**გიორგი ძაძამიძე**

# ფული მაჩვენეთ, ფული! მე ოლა არ ვიყო...



მიქაელ ესიენი „ლიონმა“ 46 მილიონ ევროდ შეაფასა

**მიქაელ ესიენის** გამო „ლიონისა“ და „ჩელსის“ ვაჭრობა სერიალად იქცა. საფრანგეთის ჩემპიონი ამჟამად სამხრეთ კორეაშია. კლუბის პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ კი იქიდან კიდევ ერთხელ შეუთვალა „ჩელსის“, ფეხბურთელი თუ გსურთ, 46 მილიონი ევრო ჩამოთვალეთო.

„ორმოცდაექვსი — თქვა ოლამ — ეს მარტივი არითმეტიკაა. ესიენი ჯერარდის ფასია. ან გადაიხდიან 46 მილიონს, ან მე ოლა არ ვიქნებიო“.

„ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კინიონი: „ჩვენი მოლაპარაკება გრძელდება და, ვიმედოვნებ, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება“.

ჟან-მიშელ ოლა: „თუ ფული ენანებათ, მაშინ ერთ წელიწადი კიდევ მოიცადონ და მომავალ ზაფხულში 25 მილიონად დავუთმობთ“.

თვითონ ფეხბურთელი კი ამბობს: „დარწმუნებული ვარ „ჩელსიში“ გადავალ. გუნდში ყველამ იცის, რომ წასვლა მინდა. თანაგუნდელებს ვესაუბრე და მათ გამიგეს. დიდიე დროგბამ დამირეკა და შემაგულიანა, შენი ადგილი „ჩელსშიაო“. აღარ ვიცი, რა ვილონო. თამაშის ხალისიც კი დამეკარგა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდო ნაკრებს ეყრება



რონალდო ბრაზილიის ნაკრებს ერთი წლის მერე დაემშვიდობება

**მადრიდის** „რეალის“ მეგოლე რონალდომ განაცხადა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ შესაძლოა, ნაკრებთან წავიდეო.

„გერმანიაში ჩემთვის მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება. ვალდებული ვარ, ადგილი გავათავისუფლო, რათა ახალგაზრდებს გზა გავუხსნა. „რეალთან“ კიდევ ოთხწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და კარიერასაც ალბათ აქ დავასრულებ“.

ცხადია, ეს ამბავი ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლის ალბერტო პარეირამაც შეიტყო და თქვა: „მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. ვფიქრობ, რომ ასე უკეთესია. ჯობს მაშინ წავიდეს, როცა კარგ ფორმაში იქნება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აგრესიული და ამბიციური ემრეს ამბავი



ემრე ბელოზოღლუ

**ემრემ** თქვა, „ნიუკასლს“ ჩემპიონთა ლიგაში გავიყვანო — ასეთია 24 წლის თურქი ნახევარმცველის ამბიცია. კიდევ, „კაჭკაჭების“ ახალმა შენაძენმა განაცხადა, რომ „მილანისა“ და „ფენერბაჩეს“ უგულვებელყოფა „ნიუკასლ იუნაიტედის“ სასარგებლოდ გრემ სუნესის ფაქტორმა განაპირობა — მოგეხსენებათ, ნიუკასლელებს სუნესი ხელმძღვანელობს.

„ძალიან მიხარია, „ნიუკასლში“ რომ გადმოვედი. ეს ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი კლუბია და მისი ნდობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. იცით, რატომ ვამჯობინე „ნიუკასლი“ სხვებს? იმიტომ, რომ ამ კლუბს დანარჩენებზე მეტად უნდოდა ჩემი შეძენა. კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ „ნიუკასლ იუნაიტედს“ სათავეში გრემ სუნესი უდგას და გუნდს დიდი ამბიცია აქვს, რაც აგრეთვე ძალიან დასაფასებელია“.

შემდეგ ემრემ განაცხადა, რომ მისი ყველაზე დიდი ამოცანა, „ნიუკასლ იუნაიტედთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშია.

„დიახ, ყველაზე მეტად ახალი გუნდის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში მინდა მოხვედრა. ამასთან ვიცი, რომ საკუთრივ ნიუკასლელებსაც ბოლო ხუთი წელიწადია ეს მიზანი ამოძრავებთ.“ — დასძინა მილანის „ინტერიდან“ ინგლისს გადაბარგებულმა.

ხოლო „კაჭკაჭთა“ თავკაცმა, ზემოხსენებულმა სუნესმა თქვა:

„ემრეს შეძენით სხვა კლუბებიც იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, რათა მათთვის გვეჯობნა. მერედა, ემრე ის ფეხბურთელია, რომელიც მის სამშობლოში საგანგებო მდგომარეობით სარგებლობს. მისი შეძენა ძალიან სურდა „ფენერბაჩეს“. საიდუმლოს გაგიმხელთ, თვით თურქეთის პრემიერ-მინისტრიც კი ცდილობდა, იგი სტამბოლში დაბრუნებაზე დაეყოლიებინა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ემრე მაინც ჩვენთანაა.

კიდევ, მისი გადაბირება „მილანს“ უნდოდა. ერთი სიტყვით, ეს ნახევარმცველი „ნიუკასლში“ რომ არის, ჩვენთვის დიდად სასიხარულო და ამაღელვებელი ფაქტია.

ემრე ფეხით ცაცია. ის შემადგენლობის დაბალანსებაში დაგვეხმარება. მას ჭარბად აქვს ის აგრესია, რომელიც აქამდე ჩვენს გუნდს შესაძლოა, აკლდა კიდეც. მინდა დავძინო, რომ თურქულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ და რამდენიმე წამყვან თურქ ფეხბურთელთანაც მიმუშავია. მაგალითად, ინგლისში მე ჩამოვიყვანე თუგაი, რომელმაც სხვისი რა გითხრათ და ჩემთვის ფანტასტიკურად ითამაშა. ასე რომ, თუ ემრეც შეძლებს მის დონეზე ასვლას, უბედნიერესი კაცი ვიქნები.

აგრეთვე გაითვალისწინეთ ემრეს ასაკი. ის ახალგაზრდაა და ამიტომ მისგან შეტევის ენერგიას ველით. მე უკვე ვუთხარი, რომ ამ სეზონში მან ჩვეულზე მეტი გოლი უნდა გაიტანოს“.

**ბაჩუნა ძიძია**

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

CHAMPIONS LEAGUE

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

*კაუნასი (ლიტვა)* 4:0 HB ტორსჰავნი (ფარერები) (4:2)

ლანსანტფრეიდი (უელსი) 0:3 *ლივერპული (ინგლისი)* (0:3)

0:1 სისე (26), 0:2, 0:3 ჯერარდი (84, 86)

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი (უიტბრი 53), ჰიიპია, რიისე, პოტერი, ხაბი ალონსო (ჯერარდი 67), ჰამანი, ზენდენი, ჯ. სისე, ლე ტალეკი (ლუის გარსია 58)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

8 009 მაყურებელი

# ჯერარდის ექვსიდან ხუთი
## ბენიტესი დოჰერტიმ გააოცა

**ერთი** კვირის წინ, შინ, უელსური „ლანსანტფრეიდის“ 3:0 ძლევით „ლივერპულმა“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში გაინაღდა. უელსელთა მწვრთნელმა იხუმრა, ეგებ ჩემპიონთა ლიგის ფინალი გავიმეოროთო, მაგრამ „ლივერპულმა“ სტუმრადაც სამი გოლი გაუტანა მეტოქეს.

რაფაელ ბენიტესმა სტივენ ჯერარდი, ფერნანდო მორიენტესი და ლუის გარსია ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშა. მოედანზე თავიდანვე იყო ჯიბრილ სისე, რომელმაც იონ არნე რიისეს პასით გახსნა კიდეც ანგარიში. ტაიმის შუაში „ლანსანტფრეიდის“ მცველმა ფილ ბეიკერმა ენტონი ლე ტალეკის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

შესვენების შემდეგ „ლივერპულს“ მეორე გოლის გატანის შანსი მიეცა. ჯეიმი ვუდმა სტუმარი დარენ პოტერი საპენალტედ წააქცია — თერთმეტი მეტრიდან დიტმარ ჰამანმა დაჰკრა, მაგრამ მეკარე დოჰერტიმ სუსტად მფრინავი ბურთი იოლად მოიხელთა. მოგვიანებით, მან სტივ ფინანის ჯარიმაც მოიგერია.

66-ე წუთზე მასპინძლებს იღბალმა უგანათ: სტივენ ბეკმა ხისე რეინას კარის ძელი შეატოკა და მეტი ხელსაყრელი ეპიზოდი „ლანსანტფრეიდს“ არ ჰქონია.

რაფაელ ბენიტესმა მოედანზე სტივენ ჯერარდი და ლუის გარსია შეიყვანა. დოჰერტის გარსიამაც ვერ აჯობა, მაგრამ „ლანსანტფრეიდი“, ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, სტივენ ჯერარდის [illegible] — კაპიტანმა ჯერ 84-ე წუთზე შორიდან დაჰკრა და ბურთი დაბალ კუთხეში ჩასვა, ორიოდე წუთის შემდეგ კი მეკარის შეცდომით ისარგებლა და ორი მატჩის ჯამში ხუთი გოლი დაუგროვდა.

ნამატჩევს დოჰერტიმ რაფაელ ბენიტესის ქება დაიმსახურა: „მან საუცხოოდ ითამაშა — განაცხადა „ლივერპულის“ მწვრთნელმა — ზოგჯერ ერთი მოთამაშეც კი ვერ შექმნის გუნდს, მაგრამ ამჯერად ძალიან ბევრი იყო და მასპინძელთა მეკარის კარგი თამაშის გამო ვერ გამოვიყენეთ. ჩემი აზრით, დოჰერტი ორივე შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეა“.

მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლივერპულს“ ლიტვის ჩემპიონი „კაუნასი“ შეხვდება. კაუნასელებმა პირველ მატჩში სტუმრად ფარერულ „ტორსჰავნს“ 4:2 მოუგეს. საპასუხო შეხვედრაში კი მასპინძლებმა თავის კარში აღარ გაუშვეს და მეტოქე ამჯერადაც ოთხი გოლით დაასაჩუქრეს.

ველინკამ პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა ანგარიში და მასპინძლები დაიმშვიდა. შესვენების შემდეგ რიმკევიჩიუსმა დუბლი შეასრულა, ხოლო თამაშის ბოლო წუთზე მცველმა ზელიკაუსკასმაც იზეიმა. „კაუნასის“ მწვრთნელი ალექსანდრ პისკარიოვი გამარჯვების მიუხედავად პრობლემები შეექმნა: სამი ფეხბურთელი ყვითელი ბარათების გამო „ლივერპულთან“ მატჩს გამოტოვებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



სტივენ ჯერარდმა საცოდავი უელსელები არ დაინდო

*(დასაწყისი იხილეთ №146, №152, №158 „სარბიელი“)*

## პირველი ჯილდო

მიუნხენგლადბახში ჩემმა ჩასვლამ დიდი რია-რია გამოიწვია. აბონემენტები ხომ უცბად გასაღდა, მაისურებიც დაიტაცეს და თითქოს მთელი გერმანიის სპორტული ჟურნალისტები ამ ქალაქში დასახლდნენ. მოკლედ, „ბორუსიას“ დიდებული რეკლამა გავუკეთე.

ჩემპიონატი არცთუ ურიგოდ დავიწყეთ და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დავიკავეთ. „მიონხენგლადბახს“ 16 წელიწადი არაფერი მოუგო. იმ სეზონში გერმანიის თასის ფინალში გავედით. ვერ ვიტყვი, რომ გუნდში ფეხბურთელებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ პროფესიონალები ვიყავით და საქმეს კარგად ვასრულებდით. თან მწვრთნელმა ბერნდ კრაუსმა ყველა მოთამაშესთან საერთო ენა გამონახა.

1995 წლის 24 ივნისს, თასის ფინალში მეორებუნდესლიგელი „ვოლფსბურგი“ იოლად, 3:0 დავამარცხეთ. ეს ჩემი პირველი ჯილდო იყო! ჩვენ თასების მფლობელთა თასზე თამაშის უფლება მოვიპოვეთ, მიუნხენის „ბაიერნი“ კი ბუნდესლიგაში მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. რაკი „ბორუსიამ“ გერმანიის თასი მოიგო, „ბაიერნს“ უეფას თასის საგზური ერგო. ისე გამოვიდა, რომ „ბაიერნს“ ჩვენი წყალობით ევროგზა გაეხსნა.

200 ათასამდე გულშემატკივარი მიონხენგლადბახის ქუჩებს მოეფინა და გერმანიის თასის მოგებას ზეიმობდა. მსგავსი რამ აღარსად მინახავს. ქალაქი გადაირია. მე და ჩემი მეგობარი იორგ ნოიბი შამპანურს ვსვამდით და სიგარას ვაბოლებდით. მერე სასტუმროში გადავინაცვლეთ და ღრეობა იქ გაგრძელდა. ლუდი და შამპანური ულევად მოდიოდა. ბართან ჩამოვჯექით, ვიღაც ტიპი მომიახლოვდა და მითხრა: „ეფენბერგ, აქ რა ჩემი ფეხები გინდა“? ისე გავბრაზდი, იორგი რომ არა, ალბათ შემომაკვდებოდა.

ჯერ კიდევ სეზონის განმავლობაში გამოჩნდა — „ბორუსია“ ჩემს შენარჩუნებას შეეცდებოდა. ბოლო საშინაო მატჩის წინ, ფანებმა სტადიონზე გრანდიოზული აქცია მოაწყვეს, რათა კლუბს ფინანსურად დახმარებოდნენ. „ბორუსიას“ მენეჯერი როლფ რიუსმანი ფლორენციაში ჩავიდა და ჩემი კონტრაქტი გამოისყიდა. მე ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი გავხდი. „ბორუსიასთან“ ოთხწლიან გარიგებას მოვაწერე ხელი.

კონფლიქტები არასოდეს მაკლდა. პირველივე წელიწადს დიდი სკანდალი ატყდა: კიოლნის ვაგზალთან, დისკოთეკაზე ვიყავი. უცნობი კაცი მოვიდა და გამომლანძღა: „შე ბრმაო, აახვიე აქედან!“ აღარ დაველოდე რას იტყოდა და დარბაზიდან გავაგდე. მეორე დღეს გაზეთიდან შევიტყვე, რომ ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მიჩივლა. ეს ამბავი გერმანულმა პრესამ აიტაცა. იდიოტები! რა სისულელეებს აღარ ჩმახავდნენ. სადაც კი შევიდოდი, ყველგან გამოტყვრებოდა ერთი ნაგიჟარი, რომელიც ჩემს გალანძღვას ეშურებოდა. ამიტომ **VIP**-ლოჟებში გადავინაცვლე, სადაც მშვიდად შემეძლო ლუდის წრუპვა.

# მე ყველას ვაჩვენე

## გაპეფხვება

გერმანიის ყველაზე პოპულარულმა ტელეჟურნალისტმა თომას გოტშალკმა **RTL**-ის შოუზე მიმიწვია. ფეხბურთში კარგად ერკვეოდა და „ბაიერნს“ ქომაგობდა.

„დაგენიძლავები, „ბაიერნი“ ამ სეზონში ჩემპიონი გახდება“ — მითხრა გოტშალკმა. „შეუძლებელია“ — ვუპასუხე მე, რადგან მიუნხენელები ძალიან ჩამორჩებოდნენ „აინტრახტს“ და მხოლოდ ყველაზე თავგადაკლული ქომაგი თუ ჩავიდოდა ფსონს „ბაიერნის“ ჩემპიონობაზე. „კარგი — თქვა გოტშალკმა — თუ წააგე, რას იკისრებ?“ „თუ წავაგე, თმაზე ვეფხვს დავიხატავ, ხოლო შენ თუ დამარცხდი, თავს ნულზე გადაიპარსავ“ — მივუგე მე.

გოტშალკი დამთანხმდა. წარმოიდგინეთ, „აინტრახტმა“ ბოლო ტურებში ქულები გაანიავა და „ბაიერნი“ ჩემპიონი გახდა. ძალიან არ მსურდა თავვეფხვიანი გავმხდარიყავი, მაგრამ რაკი წავაგე, პირობა უნდა შემესრულებინა.

ერთი კვირის შემდეგ, კვლავ **RTL**-ის შოუზე მივედი. თომას გოტშალკმა გადაცემის დაწყებამდე 5 საათით ადრე დამიბარა. მას ინგლისიდან ვიღაც გადარეული დალაქი ჩამოეყვანა, რომელსაც ჩემს კეფაზე, თმებში ვეფხვი უნდა ამოეკრიჭა. ინგლისელმა თავისი საქმე კარგად შეასრულა.

მეორე დღესვე „ეფე-ვეფხვი“ შემარქვეს. ბერნდ კრაუსმა კეფა რომ მინახა, ნახატის წაშლა მირჩია. მწვრთნელს ვუთხარი, რაც მოხდა, ტერიერი ხომ არ დამიხატავს-მეთქი. „ბერტი ფოგტსს ასეთი ხუმრობა არ უყვარს“ — დაიჟინა კრაუსმა.

„ბოხუმს“ 7:1 მოვუგეთ. ორი გოლი გავიტანე და ერთი საგოლე პასი მივითვალე. ბერნდ კრაუსს ამის შემდეგ „ეფე-ვეფხვი“ მოეწონა და გუნდის კაპიტანიც გავხდი.

## ჰელმუტ კრუგის დაცემა

მომდევნო სეზონში მეოთხე ადგილი დავიკავეთ. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ვითარება უცბად აირია. მედიაში ჩემს ჯამაგირზე დაიწყეს ჭორაობა. „ეფენბერგს ძალიან დიდი ხელფასი აქვს“ — წერდნენ გაზეთების პირველ გვერდებზე. ეს ამბავი „ბორუსიას“ პრეზიდენტ დრუგალსკის აგორებული იყო. გარშემო ყველა ჩემს წლიურ 5 მილიონზე ლაქლაქებდა. სინამდვილეში კი გაცილებით მეტს ვიღებდი.

ბეკელბერგი: „ბორუსია“ დიუსელდორფის „ფორტუნას“ ხვდება. დერბია. სტადიონი სავსეა. 0:1-ს ვაგებთ. მარცხნიდან ჩემსკენ მსაჯი ჰელმუტ კრუგი მორბის. შეჯახება გარდაუვალია. მომდევნო წამს კრუგი დაბლა ეცემა. მაისის კატასავით გდია. სტადიონი ხარხარებს. სიცილი მეც ვერ შევიკავე.

კრუგი ნელა წამოდგა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და წითელი ბარათი მიჩვენა. „დიდი მადლობა — მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე — მაგრამ რისთვის?“

## ეფენბერგი ნეკნებში არ ურტყამს

„ბორუსიაში“ პრობლემები დახვავდა. 1996 წლის დეკემბერში მე, მარტინა და უვე კამპსი მეგობარმა ვახშამზე დაგვპატიჟა. მაგიდასთან ვისხედით, როცა ვიღაცამ ზარი დარეკა. კარი გავაღეთ, მაგრამ არავინ იყო.




რამდენიმე საათის შემდეგ სტუმრები დაიშალნენ. გარეთ გავედით. ჩვენი ავტომობილის წინ, ასფალტზე გაღეშილი, სისხლში ამოსვრილი კაცი იწვა. მის შემხედვარეს კინაღამ გული ამერია. მივედი და ფეხით მსუბუქად შევეხე, მაგრამ უგონოდ ეგდო. ტაქსი მოვიყვანეთ, ტაქსისტმა გაღეშილი კაცი რომ ნახა, მის წაყვანაზე უარი თქვა. „თქვენი მეგობარი ავტომობილს დამისვრის“ — გვიიხრა მან. მერე პოლიციაში დავრეკეთ. ისინი ჯერ დაიჯღანნენ, მერე კი დასისხლიანებული კაცი ავტომობილში შეათრიეს. „შეწუხებისთვის ამ კაცს სასამართლოში ხომ არ უჩივლებთ?“ — გვკითხეს პოლიციელებმა. „რა თქმა უნდა, არა“ — ვუპასუხეთ ჩვენ.

ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შეკრებაზე ვიყავით, როცა მარტინამ დამირეკა და მითხრა: „პროკურატურა 390 ათასი მარკის გადახდას ითხოვს!“ — მეგონა, რომ მომესმა. ვერაფერი გავიგე. გალეშილმა კაცმა თურმე ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მიჩივლა. გადავირიე, ასეთი საზიზღრობა აქამდე არ მენახა. ვიღაც ქალს უთქვამს, თითქოს კაცს ფეხი რამდენჯერმე მივარტყი. ეს ამბავი მეორე დღესვე გაზეთებმა აიტაცეს. ერთი თვის შემდეგ კი სასამართლ[illegible] ბარეს. როგორ დავიცვი[illegible] რთი ტყუილ[illegible] მეთქი — ვიფიქრე [illegible] ვოკატს ვუთხარი: „მე [illegible] ნალი ფეხბურთელი ვარ [illegible] ხელ მაინც მაგრად რომ [illegible] ფეხი, იმ კაცის ნეკნებთან [illegible] რაფერი დარჩებოდა“ [illegible] სასამართლოზე ვერ შევძელი [illegible] დარის დაწვრილებით [illegible] დეგად, პროკურორმა საქმე [illegible] რა და ბრალდება მოიხსნა.



ოტმარ ჰიცფელდი შტეფან ეფენბერგს ხშირად აგულიანებდა

## ცვალებადი პოლიტიკოსები

1998 წელს „ბაიერნში“ [illegible] გუნდში ოტმარ ჰიცფელდი [illegible] და და ახალი ფეხბურთელ[illegible] იმატეს: სალიჰამიჯიჩი, [illegible] ლინკე და ალი დაეი. [illegible] ძალიან ბევრი მტერი [illegible] ბავარიის მაწების [illegible] სტრმა ედმუნდ შტოიბერი [illegible] თვალწუნა. მისი აზრით, „[illegible] ეფენბერგი არ სჭირდებოდა. [illegible] როცა ჩემპიონები გავხდით, [illegible] ნპლაცის აივანზე შტოიბერი [illegible] დი და მან მითხრა: „[illegible] გისურვებთ. თქვენ ბევრი [illegible] „ბაიერნისთვის“. პასუხი [illegible] გვიანებია: „ძალიან მადლ[illegible] აზრს, ბატონო შტოიბერ“ [illegible] დავად იმისა, რომ მიუნხენი[illegible] ზე არავის ვეხატებოდი, [illegible] ცფელდმა ყველას აგრძნობინა [illegible] შტეფან ეფენბერგი „ბაიერნისთვის“ შეუცვლელია.

## პოლიციის მორალი

1998 წლის სექტემბერში [illegible] გუნდი ერთ რესტორანში [illegible] ზე შევიკრიბეთ. რა თქმა [illegible] ხვიც გვქონდა და [illegible] ლუდიც მივირთვით [illegible] დეგ მე, ტორსტენ ფინკი, [illegible] იერმა და კიდევ რამდენიმე [illegible] სონმა ბარში გადავინაცვლე[illegible] რგად გამოვთვერი და სახლში [illegible] ტომობილით წავედი. საშინელი [illegible] ჩქარით მივდიოდი. მიუნხენის [illegible] სება არასად დამირღვევია. [illegible] რომ მივაღწიე, პოლიციის [illegible] ბილი დავინახე. რას [illegible] ღამის სამ საათზე? [illegible] რთვის მოწმობა და [illegible] მოხოვეს. მკითხეს, [illegible] ხართ. დიახ, ორი-სამი [illegible] დი დავლიე-მეთქი. [illegible] კოჰოლის ოდენობა [illegible] აპარატმა 0,98 აჩვენა. [illegible] არ იყო, მაგრამ მეორე [illegible] გამოვიდა. სხვები ასეთ [illegible] ვაში უცბად გამიმეგობრდნენ. [illegible] მათ გამაწვალეს და სახლამდე [illegible] მიბრუნეს. ჩემი სიმთვრალის [illegible] ვი მეორე დღეს მთელმა [illegible] იცოდა. ვარჯიშის შემდეგ [illegible] ბის პრეზიდენტი მარკუს [illegible] მოვიდა და მითხრა, [illegible] გაზეთები გააბუქებენ [illegible] რალეს და სანამ სხვებისგან [illegible] გებს, მწვრთნელთან მიდი და [illegible] თონ აუხსენი ყველაფერი. [illegible] ვე ჰიცფელდს დავურეკე [illegible] გაბრაზებულა, თუმცა [illegible] ათასი მარკით დამაჯარიმა. [illegible] გადახდის მერე, ჩემთვის [illegible] არაფერი უთქვამს, მაგრამ [illegible] თები მაინც არ ისვენებდნენ [illegible] ვანი ელბერსა და მარსელ[illegible] ჩამოართვეს მართვის მოწმობა, თუმცა მათ გამო დიდი [illegible] არ ამტყდარა.

*(გაგრძელება შემდეგ ხუთშაბათს)*

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 11 | ლინცერი-ალტახი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 21:00 | 12 | ავსტრია(ლ)-გრატკორნი | 1.40 | 3.70 | 6.80 | 1.01 | 1.16 | 2.39 |
| 21:00 | 13 | შვანენშტადტი-კაპფენბერგი | 2.75 | 3.00 | 2.35 | 1.43 | 1.26 | 1.31 |
| 21:00 | 14 | ლეობენი-კერნტენი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 21:00 | 15 | ავსტრია(მ)-კუფშტაინი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 17 | თუნი-ბაზელი | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 18 | შაფჰაუზენი-ქსამაქსი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 21:30 | 19 | აარაუ-სტ.გალენი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 20 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 21 | მეირინი-ბადენი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 21:30 | 22 | კონკორდია-ბოლმსი | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 21:30 | 23 | შო დე ფონი-კიასო | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 19:30 | 24 | ვილი-კრიენსი | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 21:30 | 25 | სიონი-ლოზანა | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:30 | 26 | ლუგანო-ლოკარნო | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| 19:30 | 27 | ვინტერთური-ვადუცი | 2.95 | 3.20 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| 21:30 | 28 | ლუცერნი-ვოლენი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| 21:30 | 29 | ბელინცონა-იუვენტუსი | 1.80 | 3.40 | 3.50 | 1.17 | 1.18 | 1.72 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 31 | მოსკოვი-ლოკომოტივი | 3.60 | 3.00 | 2.00 | 1.63 | 1.28 | 1.20 |
| 15:00 | 32 | შინიკი-როსტოვი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 15:00 | 33 | ამკარი-სატურნი | 2.55 | 2.90 | 2.70 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| 15:00 | 34 | რუბინი-სპარტაკი | 2.80 | 2.90 | 2.45 | 1.42 | 1.30 | 1.32 |
| 15:00 | 35 | კრილია-ტერეკი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 15:00 | 36 | ზენიტი-ალანია | 1.40 | 3.60 | 8.00 | 1.00 | 1.19 | 2.48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 39 | არკა-ლეგია | 4.00 | 3.20 | 1.75 | 1.77 | 1.21 | 1.13 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 40 | ინტერი-ბ.ბისტრიცა | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 20:00 | 41 | ნიტრა-პეტრჟალკა | 2.55 | 3.00 | 2.45 | 1.37 | 1.24 | 1.34 |
| 20:00 | 42 | ტრნავა-რუჟომბეროკი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 44 | პუხოვი-ჟილინა | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 46 | ციბალია-დინამო | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 20:00 | 48 | მედიმურიე-ინტერი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 22:00 | 49 | რიეკა-პულა | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 68 | მოლდე-ბრანი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 69 | ვოლერენგა-კამარი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 70 | ფრედრიკსტადი-ლინი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 71 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 72 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| 22:15 | 73 | ალესუნდი-როზენბორგი | 5.00 | 3.90 | 1.55 | 2.19 | 1.18 | 1.10 |
| | | **25 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 74 | ლილესტრიომი-სტარტი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 79 | ჰეკენი-მალმიო | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 84 | დეგერფორსი-აიკ | 4.80 | 3.60 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 85 | ვესბი-ფალკენბერგი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 86 | ნორჩიოპინგი-იოსტერსი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 18:00 | 87 | ფრიოლუნდა-ტრელებორგი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 89 | როვანიემი-ალიანსი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 20:00 | 90 | ინტერი-მიუპა | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 102 | დერი-დუბლინი | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 22:45 | 103 | სტ.პატრიკსი-უოტერფორდი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:45 | 104 | ბოჰემიანი-დროგედა | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 105 | კორკი-შემროკი | 1.40 | 3.80 | 6.30 | 1.02 | 1.14 | 2.37 |
| 22:45 | 106 | ბრეი-შელბურნი | 3.40 | 3.00 | 2.00 | 1.59 | 1.25 | 1.20 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 107 | ლონგფორდი-კერპსი | 1.60 | 3.40 | 4.70 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 136 | კორინთიანსი-პაისანდუ | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 23:45 | 137 | ფლამენგო-ჟუვენტუდი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:45 | 138 | კრუზეირო-კურიტიბა | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 175 | ბრედა-ჰანოვერი | 3.30 | 3.20 | 1.90 | 1.62 | 1.20 | 1.19 |
| 22:00 | 176 | სტანდარდი-ფენერბაჰჩე | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| | | **საერთაშორისო ტურნირი კორეა** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 203 | სოსიედადი-ტოტენჰემი | 3.30 | 3.10 | 2.00 | 1.59 | 1.24 | 1.21 |
| 14:00 | 204 | ბოკა ხუნიორსი-სანდაუნსი | 1.50 | 3.40 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.20 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 17:30 | 205 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 20:15 | 206 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 208 | ოლმე-იურგორდენი | 9.00 | 4.80 | 1.20 | 3.13 | 1.05 | 1.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ოქროს თასი (აშშ)** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 227 | აშშ-ჰონდურასი | 1.35 | 3.90 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.62 |
| 23:45 | 228 | კოლუმბია-პანამა | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | **ჩოგბურთი კაცები** | | | | | | |
| | | **ამერსფურტი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 448 | გონსალესი-ვიკი | 1.15 | 4.00 | | | | |
| 13:00 | 454 | მინარი-ვენტურა | 1.60 | 2.05 | | | | |
| 13:00 | 481 | სლიუტერი-ბრაჩიალი | 1.60 | 1.90 | | | | |
| | | **ჩოგბურთი კაცები** | | | | | | |
| | | **შტუტგარტი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 12:30 | 468 | ზაბალეტა-სიმონი | 1.32 | 3.10 | | | | |
| | | **ისლანდიის თასი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 209 | ფრამი-ვესტმანაეიარი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 23:15 | 210 | რეიკიავიკი-ვალური | 2.65 | 3.30 | 2.25 | 1.46 | 1.21 | 1.33 |


CROCO BOOKMAKERS

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10

42 00 24


**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13227 | აშშ-ჰონდურასი | 1.70 | 1.90 |
| 13228 | კოლუმბია-პანამა | 1.70 | 1.90 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15227 | აშშ-ჰონდურასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | კოლუმბია-პანამა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)**

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17227 | აშშ-ჰონდურასი | 1.85 | 1.95 |
| 17228 | კოლუმბია-პანამა | 1.85 | 1.95 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12227 | აშშ-ჰონდურასი | 1.90 | 1.70 |
| 12228 | კოლუმბია-პანამა | 1.70 | 1.90 |


სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე


**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14227 | აშშ-ჰონდურასი | 1.10 | 2.60 |
| 14228 | კოლუმბია-პანამა | 1.25 | 2.50 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11227 | აშშ-ჰონდურასი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11228 | კოლუმბია-პანამა | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

# სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!



ახალგაზრდული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი: დავით უსტიაშვილი, ნუგზარ კანდელაკი, მიხეილ კობეშავიძე

**ბულგარეთში** წ. კებული საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა შტაბი — ნუგზარ კანდელაკი, დავით უსტიაშვილი და მიხეილ კობეშავიძე — გუშინ სპორტის დეპარტამენტში შეიკრიბა და იმ ასპექტებზე ისაუბრა, რის გამოც გუნდმა A დივიზიონის საგზური ვერ მოიპოვა. სათქმელიც ბევრი არაფერი ჰქონდათ მწვრთნელებს, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს მიზნის მისაღწევად და მხოლოდ გადამწყვეტი მატჩის ბოლოს არ გაუმართლათ. ქართველებმა ნახევარფინალურ შეხვედრაში, რომლის მოგებაც მათ A დივიზიონის საგზურს არგუნებდა, ბოლო წამებზე წააგეს უნგრელებთან და შინ ხელმოცარულნი დაბრუნდნენ.

საქართველოს არაერთი ასაკობრივ ნაკრებს უწევდა ამაზე ბევრად დიდი და სამარცხვინო მარცხი საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ წაგება წაგებაა და მეღვინეს? დანდობა არც ... ახალგაზრდული ნაკრების თავკაც ნუგზარ კანდელაკს უფრო იმაზე მოუხდა თავის მართლება, რომ პოლონეთთან ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი სტრატეგიული მოსაზრების გამო განზრახ დათმო. კერძოდ, ქართველი ჟურნალისტების ერთის ნაწილმა ლამის მოწინააღმდეგე გაასწორა ნაკრების თავკაცი. განზრახ წაგება არასპორტული საქციელია და მის გამკეთებელს შემდგომ მარცხი არ ასცდებაო.

ქართველებმა მომდევნო თამაში მართლაც წააგეს, მაგრამ ალალ, თანასწორ ბრძოლაში, ხოლო ის, ვინც ჩვენიანებს იმ „მიცემულ“ მატჩში სძლია, უიმედოდ დამარცხდა მასპინძელ ბულგარეთთან. ეს გახლდათ პოლონეთის ნაკრები, რომელიც ჩვენი გუნდის მწვრთნელების თქმით, ყველაზე ძლიერი იყო ბულგარულ ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე და იმიტომ დარჩა პირში ჩალაგამოვლებული, რომ ნახევარფინალში ბულგარელებს გადაეყარა.

ქართველებმა ბულგარეთი პოლონეთთან განზრახ მარცხით აიცილეს და ამის გამო მშობლიური პრესის ერთი ნაწილისგან რისხვაც მიიღეს. კანდელაკი ამბობს, რომ თამაშის განზრახ წაგება მართლაც დანაშაულია და მოთამაშეს დღეს რომ ეტყვი, ეს მატჩი უნდა წააგო, მეორე დღეს გამარჯვებას ვერანაირად ვეღარ მოსთხოვო.

„პოლონელებთან მატჩის წინ ჩვენს სამ წამყვან მოთამაშეს ტრავმა აწუხებდა — ამბობს ნუგზარ კანდელაკი — გიორგი ცინცაძესა და გიორგი მდივანს ხელის ტრავმა ჰქონდათ და არც დავით საყვარელიძე იყო მწყობრში. თან პოლონელებთან მატჩის წინ ვიცოდით, რომ თუ გავიმარჯვებდით, ბულგარელებს შევხვდებოდით ნახევარფინალში. ჩვენ პოლონელებისთვის თავი უნდა შეგვეკლა ისედაც ტრავმირებული შემადგენლობით და მერე ბულგარელებთან გვეთამაშა. განა ეს იქნებოდა გამართლებული? ასე რომ მოვქცეულიყავით, დარწმუნებული ვარ, უფრო დიდ კრიტიკას დავიმსახურებდით. ისე, მე არც არავის კრიტიკას ვუყურებ და არც არავის შენიშვნებს — ჩვენ ვმოქმედებდით წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით და მჯერა, რომ ყველაფერი ისე შევასრულეთ, როგორც საჭიროება მოითხოვდა.“

**ირაკლი პერტაია**

## NBA

# გაყრა დეტროიტულად

## ლარი ბრაუნი და პისტონზი გაშორდნენ

„დეტროიტ პისტონზისა“ და მის თავკაც ლარი ბრაუნის გზები, როგორც იქნა, გაიყარა. როგორც იქნა, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ასეთი პროცესები ერთ-ორ დღეს გრძელდება — ამ, ან იმ მხარეს არ სურს მეორესთან ერთად „თანაცხოვრება“ და იურიდიული მხარეც იოლად გვარდება, მაგრამ ამ შემთხვევაში „პისტონზის“ და მისი მამის გაყრა კარგა თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 64 წლის ბრაუნმა მკურნალობის სურვილი გამოთქვა და თავის სამწვრთნელო კარიერას კითხვის ნიშანი დაუსვა. არადა, მას კონტრაქტის მიხედვით „დეტროიტისთვის“ კიდევ სამი სეზონი უნდა ეთავკაცა (ამ სამ სეზონში 18 მილიონი ერგებოდა). „დეტროიტის“ დირექტორატში კი ეჭვმა დაიბუდა, ბრაუნი ჯანმრთელობას ხომ არ იმიზეზებს, რათა ჩვენგან განთავისუფლდეს და სხვა გუნდში წავიდესო.

ამ ეჭვს არ ეთქმოდა უსაფუძვლო, რაკი ორი წლის წინ ბრაუნი ანალოგიურად მოიქცა, სწორედ მსგავს ვითარებაში მიატოვა „ფილადელფია“ და „დეტროიტში“ გადაბარგდა, საიდანაც რამდენიმე დღით ადრე სხვა კარგი სპეციალისტი რიკ კარლაილი დაითხოვეს, ბრაუნისთვის ადგილი რომ მოეთავისუფლებინათ. თანაც ხმა გავარდა, ნბა-ს ამ ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელს „ნიუ იორკის“ პრეზიდენტი აიზია ტომასი შეუჩნდაო. მოგვიანებით ბრაუნმა „დეტროიტში“ დარჩენის სურვილიც გამოთქვა, მაგრამ გუნდის შეფ ჯო დუმარსს თანამშრომლობის გაგრძელების ძველი ენთუზიაზმი ვეღარ შეატყო და...

მოკლედ რომ მოვჭრათ, სამშაბათს ღამით „დეტროიტმა“ ბრაუნის კონტრაქტი გამოისყიდა და ორ წელიწადში ორ ფინალში გამყვან და ამათგან ერთის მომგებ მწვრთნელს ოთხივ მხრივ დაულოცა გზა.

ახლა ექს და ვიცე-ჩემპიონებს ახალი თავკაცი სჭირდებათ, რომელიც ეგებ უკვე იპოვეს კიდეც. დუმარსი რამდენჯერმე ელაპარაკა „მინესოტა ტიმბერვულვზის“ ყოფილ მეთაურს, ამჟამად უმუშევარ ფლიპ სანდერსს და დიდი შანსია, ბრაუნის სკამზე სწორედ ის დასვას.

**კოტე ყორშია**



# ლებრონის რაზმი ივსება

## კავალერიამ მარშალი იშოვა

**დღითი დღე** იზრდება და მსხვილდება ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდ კავალიერზი“.

ორი წელიწადია, ასეთი ვარსკვლავი გვყავს და პლეი ოფი გვენატრებაო, გასული სეზონის დამთავრებისთანავე დაფაცურდნენ კლუბის შეფები და ლებრონის გარშემო გუნდის სერიოზულად გაძლიერებაზე იწყეს ზრუნვა.

პლეი ოფი ჯერ ხეირიანად არც დამთავრებულიყო, რომ „კავალერიამ“ „ვაშინგტონის“ ერთ-ერთი ლიდერის, ლარი ჰიუზის გული დაიპყრო და თავისთან ჩარიცხა. რამდენიმე დღეში კლუბის შეფებმა კარიერის „კლივლენდში“ გაგრძელებაზე დაიყოლიეს 221-სანტიმეტრიანი ლიტველი ცენტრი, ოთხზის ოლიმპიელი ჟიდრუნას ილგაუსკასი, ახლა კი „ტორონტოს“ აართვეს თავისუფალი აგენტი, 206-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი დონიელ მარშალი და ეს ზორბა ვეტერანიც სოლიდური შენაძენია ლებრონის რაზმისთვის. მარშალი 11 წელიწადია, ნბა-ში თამაშობს, 500-ზე მეტი შეხვედრა ჩაუტარებია და საშუალო მონაცემიც სოლიდური აქვს — 12,4 ქულა და 7,3 მოხსნა.

მარშალმა „კლივლენდთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით მის ნაცვლად მისი აგენტი გამოთქვამს კმაყოფილებას: „ჩვენ ამ ფაქტს აღვიქვამთ, როგორც საჩემპიონო დონის ვარსკვლავების გუნდში ჩარიცხვას. მეც და ისიც აღფრთოვანებული ვართ ამასვენი“ — ამბობს ეს მარშალის აგენტი. ალბათ არც აგენტს ალარ დაუკონკრეტებია, რამდენი მილიონი დაუჯდათ „კლივლენდის“ შეფებს მისი კლიენტის ოთხწლიანი ერთგულების ყიდვა. იქნება ასე, 25-30 მილიონი დოლარი.

გარდა ამისა, „კლივლენდს“ მინიმუმ კიდევ ერთი სოლიდური მოთამაშის დამატება სურს, აუცილებლად გამთამაშებლისა და ორი კანდიდატიდან აპირებს შერჩევას. რამდენიმე დღეში ამ გუნდში ალბათ მარკო იარიჩს ან დეიმონ სტუდემაიერს იხილავენ.

**კოტე ყორშია**

# კოკაიმ ცისფერი დრაკონი უცუპაროდ მიასლეკივაკა



**ნაგოიას** ბაშოზე გუშინ ქართველმა სეკიტორმა კოკაიმ დიდი სუმოს ყველა მოყვარული დააინტრიგა. „შავი ზღვის" ფსევდონიმით ცნობილმა ლევან ცაგურიამ 21-ე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნა წააქცია. მონღოლი „ცისფერი დრაკონი" ჩვენებურ რიგით მაეგაშირასთან მარცხმა სერიოზულად ჩააფიქრა. იმპერატორის თასის 12-გზის ამწევი ასასიორუ ერთპიროვნული ლიდერი აღარაა. თქმაც არ უნდა, ფავორიტების ჩამოთვლა კვლავაც მისი გვარის დასახელებით იწყება, მაგრამ ასეთი უკვე რამდენიმეა. მათ შორის ლევან ცაგურიაც.

კოკაიმ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ წაფორხილებულ მონღოლს პირველსავე წამზე უკანმოუხედავად შეუტია და სწრაფადვე მიიმწყვდია 4,55-მეტრიანი დიამეტრის არენის პირით ხაზთან. ის იყო, გადამწყვეტი ცუპარები უნდა შეესრულებინა, იოკოძუნა როგორღაც დაუსხლტა და კონტრცუპარები დაუშინა. ხაზთან უკვე კოკაი მოემწყვდა და რამდენიმე წამში მის მიღმაც გადაუცდა ფეხი, თუმცა იმ დროს უკვე საქმე გაკეთებული ჰქონდა. მეტოქეში ქართული ასასიორუ თავისკენ დაითქნია და პირქვე დასცა. ცისფერი დიადი ჩემპიონის მომრეკს ფეხზე წამოუდგა.

ბაშოს ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე კოკაის ანგარიშზე რვა მოგება და სამი მარცხია, რაც კაჩიკოსს (დადებით ბალანსს) ნიშნავს. მომავალ ბაშოზე ჩვენებური რანგის ამაღლება აქედანვე გარანტირებული აქვს, მაგრამ ახლა მთავარი დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმის აღებაა, რამაც შესაძლოა, ქართველი სეკიტორი იმპერატორის თასამდეც მიიყვანოს.

კოკაის დარად, რვა-რვა ქულა აქვთ ოძეკი ტოჩიაძუმას, იძეკი კაიოსა და დასავლეთის მე-II მაეგაშირა ტაკამისაკარის. ლიდერები კი ცხრა-ცხრა ქულით ასასიორუ კომუსუბი კოტოოსიუ და დასავლეთის მეორე მაეგაშირა ვაკანოსატო არიან.

დღეს კოკა სწორედ ერთ-ერთ ლიდერთაგანს, ორმეტრიან ბულგარელ კოტოოსიუს დაეჭიდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მისკინა ძუძუებამოყრილი დარჩა, კუერტენი კი — ჩოგანგაუშლელი

**MERCEDES CUP**
**შტუტგარტი. თიხნარი. 590 ათასი €**

**პირველი წრე**

**ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:4 6:4; **ჰუგო არმანდო** (აშშ) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:4 6:1; **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — გაელ მონფი (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ალექსანდერ ვასკე** (გერმანია) — ჟერომ ენელი (საფრანგეთი) 7:5 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:7 (5:7) 6:0 6:1; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ოლივიე როხუსი (9, ბელგია) 4:6 6:2 6:3; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:6 (7:3) 6:4

ვერ იქნა და ჩოგანი საკადრისად ველარ გაშალა როლანგაროსობის სამგზის ჩემპიონმა გუსტავო, იგივე გუგა კუერტენმა.

თმახუჭუჭა და თამაშკრიმანჭულა ბრაზილიელს უკვე რახანია, ბარძაყის ტრავმა აწუხებს და ამის გამო ზეპურ მარაქაში ველარ ბოუნდება.

ზეპურობას ვინლა ჩივის, შტუტგარტობის პირველ წრეში — და ამ ტურნირის ჯილდო მას თავის დროზე ორჯერ ალუპყრია! — ის უსახელო ამერიკელ კვალიფიკანტ ჰუგო არმანდოს სულ რალაც 80 წუთში შემოემარცხა.

თუმცა თავად ნამატჩევს მაინც მხნეობდა და, ეგ არაფერი, მე ხომ ახლა მხოლოდ ფორმის ალსადგენად ვჩალიჩობო, ასე ამბობდა.

არადა, გუგა რომ ახლა ჩაუქ ფორმაში ყოფილიყო, მეორე წრეში მისი და წლეულს შვიდი სათიხნარო ტიტულის მომგებ რაფა ნადალის განდაგანას ვიხილავდით...

ახლა კი უწინარესად ის გვაინტერესებს, ეს 19 წლის ჯომარდი მალიორკელი თავის 29-მოგებიან სერიას სადამდე დაიგრძელებს და გახდება თუ არა ის პირველი ესპანელი, ცნობილი მანუელ ორანტესის (1975) შემდეგ, ვისაც ერთ სეზონში რვა ტიტული მოუქურ-



ანასტასია მისკინა



გუსტავო კუერტენი

დება და — იმავდროულად — ერთ სეზონშივე მოგროვილი თიხნარტიტულების რაოდენობით გადაუჯოკრავს თუ არა განთქმულ ავსტრიელ ტომას მუსტერს, რომელმაც 1996-ში საიმდროოდ სარეკორდო შვიდი თიხნარჯილდო იშოვა.

**RCA CHAMPIOSHIPS**
**ინდიანაპოლისი. მაგარსაფარი. 575 ათასი $**

**პირველი წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 7:6 (8:6) 6:7 (7:9) 7:6 (7:5); **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:4 6:2; **რაჯივ რამი** (აშშ) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 7:5 7:6 (7:1); **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — დონალდ იანგი (აშშ) 7:6 (12:10) 6:2; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:4 6:1; **ბიორნ ფაუ** (გერმანია) — ამერ დელიჩი (აშშ) 6:4 6:7 (4:7) 6:3; **ჯოვანი ლაპენტი** (ეკვადორი) — მაშისკა ვაშინგტონი (7:6 (7:3) 6:3

უიმბლდონის ფინალში როჯერ ფედერერისგან ძლეული ენდი როდიკი კორტს ინდიანაპოლისურ მაგარსაფარზე დაუბრუნდა, სადაც ზედიზედ მესამე ტიტულის მოხვეჭას ცდილობს.

პირველ წრეში მას უფიცხელესი, სამტაიბრეიკიანი შეხლა გადახდა რუს დმიტრი ტურსუნოვთან, ვინაც ენდიბოის 32 ზუსტი დარტყმის წილ 31 ზუსტი დარტყმა კი მოაქუჩა, მაგრამ სამაგიეროდ ოცით მეტი მიჰქარა კიდეც.

ჩვენიანობაში დამკვიდრებას განაგრძობს შოტლანდიელი ენდრიუ მიუერი. ამ კუნძულელმა ყურადღება პირველად ქუინზკლაბობაზე მიიქცია, მერე უიმბლდონის მესამე წრეშიც გავიდა და წინა კვირაში მავან კალიფორნიულ ჩელენჯერტურნირზეც იმარჯვა.

ხოლო იმ დღეს რომ გამოცდილ ბრაზილიელ სარეტას აჯობა, ეს მისი მე-6 საეტიპიო გამარჯვება გახლდათ.

**THE PRIORITY TELECOM OPEN**
**ამერსფოორტი. თიხნარი. 302 ათასი €**

**პირველი წრე**

**ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — ნიკოლა თომანი (საფრანგეთი) 6:4 6:2; **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) — ლუის ორნა (პერუ) 6:7 (7:9) 6:3 7:5; **აგუსტინ კალიერი** (არგენტინა) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:4 2:6 6:3

**WESTERN AND SOUTHERN FINANCIAL GROUP WOMEN'S OPEN**
**ცინცინატი. მაგარსაფარი. 170 ათასი $**

**პირველი წრე**

**პატი შნიდერი** (1, შვეიცარია) — კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) 6:3 6:0; **ვერა ზვონარიოვა** (2, რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:3 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (3, სდჩ) — მარია ემილია სალერნი (ესპანეთი) 4:6 6:3 6:0; **დანიელა პანტუხოვა** (4, სლოვაკეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:1 6:2; **ბეთანი მატეკი** (აშშ) — მარიონ ბარტოლი (5, საფრანგეთი) 1:6 6:4 7:6 (7:0); **აი სუგიამა** (6, იაპონია) — ლინდის ლი-უოტერსი (აშშ) 7:5 6:2; **სანია მირზა** (ინდოეთი) — ანა-ლინა გრონეფელდი (7, გერმანია) 6:4 6:3

**სახელიანმა** რუსმა მეჩოგნე ანასტასია მისკინამ 2002 წელს ხვადთა სახურუშო ჟურნალ „სპორტის" ფოტოგრაფ მარკ სელიგერს ზეტიტვლად რომ წაუპოზიორა, ეს ამბავი ვინმლო თქვენც გახსოვთ.

ასეთი რაღაცები სპორტის სამყაროში ხშირად ხდება ხოლმე და ჩვენც ეგებ ამას ალარც მოვიგონებდით — მით უფრო, რომ სექსუალური მასალას ისედაც უხვად გაწვდით — მაგრამ რაკილა საქმე სასამართლო გარჩევამდე მივიდა, ხამს, ამ ამბავს კიდევ ერთხელ მივუბრუნდით.

საქმე ის არის, რომ მაშინ, როცა მისკინამ როლანგაროსობაზე იმარჯვა, ხსენებულმა სელიგერის ალილი და მისკინას ერთხელ უკვე გამოყენებული ფოტოები ხელახლა გაავრცელა.

რუს ქალმეჩოგნეთა ლიდერთაგანი ამ ამბავმა უკიდურესად აღაშფოთა და სელიგერისა და „სპორტს" სასამართლოში უჩივლა, აქაოდა, მე მაგათთვის ფოტოების უკადრად გამოყენების უფლება არ მიმიცია.

მაგრამ, როგორც საქმის გარჩევისას გაირკვა, ყველაფერი სწორედ პირუკუ ყოფილა და მისკინასაც ისეთ კონტრაქტზე მოუწერია ხელი, რაიც სელიგერს მისი ზეტიტვლური ფოტოების სამყაროს დასასრულამდე გავრცელების უფლებას აძლევს.

მისკინას ვერც იმ არგუმენტმა უშველა, მაშინ ინგლისური კარგად არ ვიცოდი და პირადი საუბრების შინაარსიც სულ სხვანაირად გავიგე და კონტრაქტისაცო.

მანჰეტენელმა მოსამართლე მაიკლ მიუკეზეიმ — და ეს საქმე სწორედ ნიუ იორკში ირჩეოდა — ბრძანა, რომ იცოდა მისკინამ ინგლისური თუ არ იცოდა, ეს სელიგერის პრობლემა არ არის და რომ მას სრული უფლება აქვს, მისკინასთვის 2002 წელს გადაღებული ფოტოები, როგორც გაუხარდება, ისე გამოიყენოს.

აბა!

# ჩინელები მონრეალის წყალში იძირებიან




AFP მონრეალიდან

ალექსანდრ დესპატიე

19 ივლისს მონრეალის აუზში მედლების მხოლოდ ერთი კომპლექტი გათამაშდა — დაითაითკავშირებული ვაჟები ერთმანეთს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში შეეჯიბრნენ და კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, თუმცა თავდაპირველად ამაზე მოგახსენებთ, უფრო სწორად, უძახილებაზე, რომელიც ამ ტურნირის მსვლელობაში განსაკუთრებული ... ნდობით ... და 18 ივლისის დაწყებული სატრამპლინო გამარჯვებულის გამოვლენა 19 ივლისისთვის გადაიდებინა აუზის კიდეზე გამწკრივებულ მსაჯებს. ორიოდ შხეფს როგორ უნდა შეეშინებინა ეს წლის ხალხი, მაგრამ როგორც მონრეალიდან მოსულ ცნობაში ვკითხულობთ, ეს წვიმა კი არა, შტორმი გახლდათ და ჩემპიონიც ერთი დღის დაგვიანებით გაირკვა.

ჩემპიონი კი — მიდი ნუ გაგიკვირდება და ზედიზედ მეორედ გახდა ჩინელი კი არა, მასპინძელი კანადელი, რაც ჩვეულებისამებრ მიღრიკელების მქონე ხალხს უხარია, შესაბამისი დასკვნები გააკეთეს. მაგალითად, ასეთი: „მსაჯები მასპინძლებს უჩხიბნიდნენ“, ან კვლავ და კვლავ „მსაჯები ჩინელებს ძარცვენ...“

ერთი სიტყვით, ძარცვენ თუ არა მსაჯები ჩინელებს, ამის თაობაზე დანამდვილებით ვერას მოგახსენებთ, ფაქტებზე და შედეგებზე დაყრდნობით კი აღვნიშნავთ, რომ ჩინელი ჰე ჩონი, პირველობას ვინ ჩივის, საერთოდ მესამეზე გავიდა, კანადელი ალექსანდრ დესპატიესა და ამერიკელი ტროი დიუმას ზურგს უკან. სხვათა შორის, ეს სწორედ ის ჰე ჩონია, ორი დღით ადრე, ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის დღეს თანამემამულესთან ერთად ჩინეთის დელეგაციას პირველი ოქრო რომ მოუტანა სამმეტრიანი ტრამპლინიდან წყვილად ხტომაში.

დესპატიეს ოქრო კი ზედიზედ მეორე უმაღლესი სინჯის მედალია მასპინძელი კანადელებისთვის. პირველი მათ, ერთი დღით ადრე მოუტანათ მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომმა ქალბატონმა ბლიტ ჰარტლიმ. მსაჯების მამაძაღლობა და ეჭვები იქით იყოს და ჩემპიონმა მართლაც ღირსეულად იხტუნავა და ქულებში გვარიანი უპირატესობით აჯობა ამერიკელსა და ჩინელს. თანაც დესპატიე მხოლოდ 20 წლისაა და, როგორც აუზებზე მწერალი ხალხი ამბობს, კოჭებშივე ეტყობოდა ოქროცურვილი მომავალი — 13 წლისა იყო, 1998 წელს „კეთილი ნების“ თამაშებზე თავისი პირველი საერთაშორისო ტიტული რომ მოიპოვა. მან ეს 10-მეტრიანი კოშკიდან გააკეთა, თუმც შემდეგ თანდათან დაქვა სამმეტრიან ტრამპლინზე და ათენის ოლიმპიურ ვერცხლს აგერ, მსოფლიო ოქროც მოაყოლა. „სიტყვებით ვერ გამოვხატავ, რას განვიცდი — ჩანს, მართლაც განიცდიდა ჩემპიონი ჩემპიონობას — დღეს ნამდვილად საუკეთესოდ გამოვედი, ვიდრე ოდესმე და მიხარია, ჩემს ქომაგებს იმედები რომ არ გავუწბილე“

**კოტე ყორშია**

## წყალში ხტომა

### კაცები

### 3 მ ტრამპლინი

1 ალექსანდრ დესპატიე (კანადა)
2 ტროი დიუმა (აშშ)
3 ჰე ჩონი (ჩინეთი)

## წყალბურთი

### ქალები

### ჯგუფური ეტაპი

### II ტური

**A ჯგუფი**

იტალია 13:6 კუბა
კანადა 12:2 ვენესუელა

**B ჯგუფი**

უნგრეთი 9:8 აშშ
ესპანეთი 15:3 ჩინეთი

**C ჯგუფი**

ახალი ზელანდია 9:4 უზბეკეთი
რუსეთი 4:4 საბერძნეთი

**D ჯგუფი**

გერმანია 7:6 ჰოლანდია
ავსტრალია 11:4 ბრაზილია



## ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

### მეჩვიდმეტე ეტაპი. 20 ივლისი. პო-რეველი. 239,5 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისქავერი) | 5 სთ | 41 წთ | 19 წმ |
| 2 კურტ ასლე-არვესენი (ნორვეგია, სი-ეს-სი) | | იგივე | დრო |
| 3 სიმონს გერანსი (ავსტრია, აგ2რ) | | | -08წმ |
| 4 სებასტიენ ინო (საფრანგეთი, კრედიტ-აგრიკოლე) | | | -11 წმ |
| 5 ანდრეი გრივკო (უკრაინა, დომინა ვაკანცე) | | | -24 წმ |

### საერთო ჩათვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი) | 72 სთ | 55 წთ | 50 წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, სი-ეს-სი) | | +2 წთ | 46 წმ |
| 3 მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) | | +3 წთ | 09 წმ |
| 4 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობილი) | | +5 წთ | 58 წმ |
| 5 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | | -6 წთ | 31 წმ |

# მხიარული რეისი



პაოლო სავოლდელი

**წლევანდელი** „ტურ დე ფრანსის“ ყველაზე გრძელმა ეტაპმა, რომელიც პოდან რეველამდე 239,5 კილომეტრს შეადგენდა, განსაკუთრებული პერიპეტიებისა და ექსცესების გარეშე ჩაიარა.

ლენს არმსტრონგმა ყვითელი მაისურა შეინარჩუნა და ლეგენდარული ფრანგის, ბერნარ ინოს მიღწევას დაეწია. მასზე ხშირად ლიდერის სამოსი მხოლოდ ედი მერქსს მოურგია, რომელსაც 111-ჯერ მოუხერხებია ყვითელ ფორმაში გამოწყობილს ეტრიალებინა პედლები.

სამაგიეროდ, არმსტრონგმა მერქსს, ინოს, მიგელ ინდურაინს და ჟაკ ანკეტილს მთავარ ამბავში ჯერ კიდევ შარშან აჯობა. ზემოხსენებულ ოთხეულს „ტურ დე ფრანსი“ ხუთ-ხუთჯერ მოუგია, ტეხასელი კი წლეულს უკვე მეშვიდე ტიტულზე იქაჩება.

წარსულსა და მომავალზე მსჯელობას თავი დავანებოთ და აწმყოს დავუბრუნდეთ. მეჩვიდმეტე ეტაპი „დისქავერის“ კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, იტალიელმა პაოლო სავოლდელიმ მოიგო. გუნდისთვის ეს მესამე წარმატებაა. მანამდე პირინეებში ჯორჯ ჰ ინკაპიმ გაიკაკა, უფრო ადრე კი „დისქავერიმ“ გუნდურ ეტაპზე იპირველა. ლენს არმსტრონგს ჯერ ერთი ინდივიდუალური ეტაპიც კი არ მოუგია, მაგრამ სწორად არჩეული ტაქტიკის წყალობით მაინც ლიდერია.

ჯგუფი, რომელთან ერთადაც ამერიკელმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, სავოლდელის 22 წუთითა და 28 წამით ჩამორჩა. ყველა ფავორიტი ამ ჯგუფში აღმოჩნდა და უახლოესმა მდევარმა, ივან ბასომაც ვერ შეძლო არმსტრონგთან სხვაობის შემცირება.

შეიძლება ითქვას, რომ რეისმა საკმაოდ მხიარულად ჩაიარა. ერთად მიმავალი ლიდერები დროდადრო ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და უკან მიმყოლ ტელეკამერიან მოტოციკლისტებსაც კი ეხუმრებოდნენ.

„ჯორჯ, კამერებს დაელაპარაკე“ — უყვიროდა არმსტრონგი ჰინკაპის, ის კი სრულიად სერიოზულად პასუხობდა, ხომ ხედავ, არ მცალია, ვმუშაობ და პედლების ტრიალს განაგრძობდა.

ვერაფერს იტყვი, „სამუშაო დღემ“ კარგად ჩაიარა. დიდი ლენსი ისევ პირველია და მორიგ ტიტულამდე მხოლოდ ოთხი ეტაპიღა აშორებს.

**ლადო წულუკიძე**




მიკაელ რასმუსენმა მესამე ადგილიც შეინარჩუნა და მთიელის მაისურაც



# აქილევსმა ჰოლმსი დასაჯა



**ორგზის** ოლიმპიური ჩემპიონი, ბრიტანელი კელი ჰოლმსი დაშავდა, აქილევსის მყესი დაიზიანა და მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატზე ვერ გამოვა — შეგახსენებთ, რომ ჰოლმსმა შარშან, ათენის ოლიმპიადაზე 800 და 1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა.

ორი კვირის წინ ბრიტანეთში შიდა, მსოფლიოს პირველობის წინა შეჯიბრება-დათვალიერება ჩატარდა, რომელშიც ჰოლმსმა ტრავმის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ამ კვირაში ლონდონის გრან პრიზე გამოვიდოდა.

„გასული კვირის მანძილზე ყველა ღონეს ვხმარობდი, რათა ტრავმა მომეშუშებინა. ინტენსიურ ფიზიოთერაპიას ვიტარებდი, მაგრამ ოთხშაბათის ვარჯიშმა დამარწმუნა, რომ სარბენ ბილიკზე გასვლა არ შემიძლია. ეს ავტომატურად ნიშნავს იმასაც, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გამოვტოვო“ — განაცხადა დამწუხრებულმა ჰოლმსმა.

**ტუტა სიხარულიძე**



# უშბა და მისი მსხვერპლნი



მერაბ ხაბაზი




№6 მიშლიაევის მარშრუტი სამხრეთ უშბაზე, რომელზეც მერაბ ხაბაზი და ზაალ ქიქოძე დაიღუპნენ



ზაალ ქიქოძე

**კიდევ ერთი** ტრაგედია დატრიალდა კავკასიონის მწვერვალ უშბაზე. კიდევ ორი ქართველი მთამსვლელი შეეწირა სვანეთის მთებში აღმართულ ამ ორთავა მწვერვალს.

მერაბ ხაბაზი და ზაალ ქიქოძე!

ისინი გელა ოთარაშვილთან და კიდევ ორ ჰოლანდიელ მთამსვლელთან ერთად ადიოდნენ მწვერვალზე, მაგრამ ამ უბედურების შესახებ ჯერჯერობით ბევრიც არაფერია ცნობილი. ქართველ მთამსვლელთა გასაჭირის შესახებ ამბავი ჰოლანდიელებმა ჩამოიტანეს, მაგრამ დეტალებზე არ უსაუბრიათ და მათი ძუნწი მონათხრობიდან მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ ასვლისას მერაბ ხაბაზი და ზაალ ქიქოძე ცოტა შეუძლოდ გახდნენ, ამიტომ ისინი დაახლოებით 3900 მეტრის სიმაღლეზე დარჩნენ, მწვერვალზე კი ჰოლანდიელები გელა ოთარაშვილთან ერთად ავიდნენ. უკან დაბრუნებისას ამინდი გაფუჭდა, ამიტომაც ჰოლანდიელები დაეშვნენ, რათა დამხმარეებისთვის ეხმოთ, ზემოთ კი გელა ოთარაშვილი მეგობრებთან დარჩა.

სამწუხაროდ, უამინდობის გამო ხუთი დღის განმავლობაში შვეულმფრენის გამოყენება გუშინდლამდე ვერ მოხერხდა. ამ დრომდე კიდევ იყო იმედი, რომ მწვერვალს შემორჩენილი მთამსვლელები, რომლებიც კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ალიასკის და ჰიმალაის მწვერვალებზე სიარულით საკმაოდ გამოცდილები იყვნენ, ცოცხლები იქნებოდნენ, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა.

როგორც ირკვევა; მერაბ ხაბაზი გაიყინა, ზაალ ქიქოძე კი კლდიდან გადმოვარდა, იგი დამცავმა თოკმა დაიჭირა, მაგრამ...

გელა ოთარაშვილი მაშველთა ასვლამდე მერაბ ხაბაზის ცხედართან იყო, მერე დამხმარეებთან ერთად დაეშვა, ხოლო დაღუპულები გუშინ შვეულმფრენით ჩამოასვენეს თბილისში.

სამივე ქართველი მთამსვლელი წინათ ნამყოფია უშბაზე, ახლა კი მიშლიაევის მარშრუტით ცდილობდნენ ასვლას.

ეს მარშრუტი სამხრეთ უშბაზე პირველად 1962 წელს რუსმა მთამსვლელებმა მიშლიაევის მეთაურობით გაიარეს. ამიტომაც ამ გზას მიშლიაევის მარშრუტი ეწოდა. ის უმაღლესი, **6A** კატეგორიის სირთულისაა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უშბა კავკასიონის ერთ-ერთი გამორჩეული მწვერვალია როგორც სილამაზით, ისე ურთულესი მარშრუტების სიმრავლით. მაგალითად, ჩრდილოეთ უშბაზე გამავალი ცამეტი მარშრუტიდან შვიდი **5B**, და ოთხიც **6A** კატეგორიისა.

უარესია სამხრეთ უშბა, რომელზეც ცხრამეტი მარშრუტიდან ათი **5A**, ხოლო შვიდი **6A** კატეგორიისაა. სამწუხაროდ, უშბა ტრაგიკული შემთხვევებითაც ძალზე გამოირჩევა. ის კავკასიონის „სიკვდილის მთაა".



გელა ოთარაშვილი უდიდესი ტკივილით დაბრუნდა უშბიდან

უშბაზე დაღუპულთა რაოდენობას ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ეს მწვერვალი ქართველ მთამსვლელთა ყველაზე დიდი სამსხვერპლოა.

უშბაზე პირველი ტრაგედია 1931 წელს დატრიალდა. მაშინ ავსტრიელ მთამსვლელთა ოთხკაციანი გუნდი ავიდა უშბის პლატოზე, რომელიც არც ისე დიდი, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელს ევროპაში ყველაზე მაღალია (4000 მ). მთამსვლელები პლატოდან აპირებდნენ ჩრდილოეთ უშბაზე ასვლას, მაგრამ იქიდან დაბრუნებული აღარავინ უნახავთ და არც მათ ცხედრებს გადაყრია ვინმე.

უშბაზე ერთი ასვლისას ყველაზე მეტი მთამსვლელი დაიღუპა 2000 წლის თებერვალში, როცა შვიდი რუსი ალპინისტი ზვავმა ჩაჩუმქრა.

მანამდე ერთი ასვლისას დაღუპულთა რაოდენობით, სამწუხაროდ, წინ იყვნენ ქართველები: 1984 წლის ზამთარში უშბამ შეიწირა: ირაკლი გელდიაშვილი, დევი (დავით) თარხნიშვილი, დავით კობახიძე, გიორგი ზუმბაძე, გია ტუშური და მურად ჭიჭინაძე.

შარშანწინ უშბამ საერთაშორისო — ვანო გულედანისა და ჯონ ბენსენის ჩაბმა იმსხვერპლა.

პირველი ტრაგედია, რომელიც ქართველ მთამსვლელებს უშბაზე შეემთხვათ, 1943 წელს მოხდა. მაშინ გოჯი ზურებიანი, ნიკოლოზ მუხიანი, ქელეშბი ონიანი, ვენდელ რაიზერი და ტელვან ჯაფარიძე ალიოშა ჯაფარიძის მეთაურობით უშბის ორივე მწვერვალისა და შხელდის მთელი მასივის ტრავერსის გასავლელად გაემართნენ. ისინი სამხრეთ უშბაზე ქარიშხალმა შვიდი დღე-ღამით დაატყვევა, რის გამოც დაშვება გადაწყვიტეს.

ტელვან ჯაფარიძეს ეს ლაშქრობა მოყინული ტერფების მოკვეთით დაუჯდა, რაიზერს კი აიროვანი განგრენა დაემართა და თბილისში გარდაიცვალა. ქართველთაგან იგი უშბის პირველი მსხვერპლია.

1945 წელს იმავე მიზნით გზას გაუდგნენ ალიოშა ჯაფარიძე, ქელეშბი ონიანი და ნიკოლოზ მუხიანი.

სამწუხაროდ, უშბას საშინელმა, ხანგრძლივმა ციკლონმა გადაუარა და მას მერე სამეული აღარავის უნახავს. მათ გზა-კვალს მომდევნო წელსაც ეძებდნენ. იმ ძებნაში უშბიდან მოწყვეტილმა ქვამ კარავი გაგლიჯა და იქ მყოფ ახალგაზრდა მთამსვლელ დავით ბაბაკაშვილს მოხვდა, რითაც უშბამ თავის მსხვერპლთა რაოდენობა გაზარდა, სამეულის ცხედრები კი საგულდაგულოდ დამალა.

ალიოშა ჯაფარიძის ნეშტი მხოლოდ 12 წლის შემდეგ აღმოაჩინეს შემთხვევით.

სამწუხაროდ, უშბაზე ტრაგედიები კვლავაც გრძელდება.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყალბია!

ჩინეთში იმდენი და იმხელა მთებია, ჩვენი ფირუზ-ზურმუხტოვანი პლანეტის სხვა კუთხე-კუნჭულში რომ ვერ შეგვხვდება. თუმცა იქამდე მისასვლელი გზების გავლას, აი, ამ მანქანების მოგონებას ამჯობინებენ თხილამურობის ჩინელი გურმანები. პეკინის შორიახლოებში რამდენიმე ათეული ასეთი ტრასა გაუმართავთ და იქ დასრიალებენ, ნაღდი თოვლი და ნაღდი მთები კი სადღაც მიკარგულან, თითქოს სულ სხვა ჩინეთში.

# ეული გოგონები

*ისევ მოსრიალი და ისევ წყალში მოდგაფუნე გოგონები. შეხსენება რაღად გინდათ, სინქრონულად მოცურავენი გახლავან და ამ ჯერზე კენტად ასრულებენ თავისუფალ ვარჯიშებს — აქეთ ფრანგი ვირჟინ დელო, იქით კი იაპონელი ემიკო სუძუკი.*



AFP მონტაჟი




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოძერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ ძალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge